დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 141 შაბათი, 27 ივნისი 1909 წ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible] თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები [illegible] დავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ხება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆——

——◆ დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

კვირას, 28 ივნისს, დილის 10 საათზე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტის

სილიბისტრო ბეჟანის ძის ვაშაკიძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მშობელი დედა **ნატალია გრიგორის ასული**, დები **დესპინე, ლიზა, ირინე, ალათია, მარიამ, მართა ბეჟანის ასულნი**, ძმები **ეგნატე, ზაქარია, მიხეილ, ალექსი, ივანე, პეტრე, ილარიონ და პარმენ ბეჟანის ძენი ვაშაკიძენი.** (9—315—1)

კვირას, 28 ივნისს, ხონის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი აწ განსვენებულის

დეკანოზის ვასილ ანტონის ძის ქუთათელაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ მეუღლე მისი **მართა გიორგის ასული** და ძენი მათნი **არისტოვლე, დავით, კონსტანტინე** და **ვასილ ქუთათელაძენი** (1—ფოს.—1)

რომანოზ ქაიხოსროს ძე მახარაძე და მეუღლე მისი **სალომე გრიგოლის ასული მახარაძისა** შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 29 ივნისს, დილის 10 საათზე მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა, ხოლო 12 საათზე პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის მათის შვილის

მიხეილ რომანოზის ძის მახარაძის

სულის მოსახსენებლად. (1—კვ.—1)

ბალი „სალხინო"

კვირას, 28 ამა ივნისს, მუშტაიდის შესავალთან, როზეტის პროჟექტორის პირდაპირ, ქ-ნ ეკატერინე თეოდორის ასულის ასათიანის თაოსნობით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ დაარსებულ ავლაბრის ბიბლიოთეკა სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართება

დიდი სეირნობა
„ბედის ქვევრით"

სამხედრო მუსიკა, ზურნა, თარი, სიმებიანი ორკესტრი.

ქართული ხორო ქულაჯებით კ. ჩარკვიანის ლოტბარობით შეასრულებს ქართულ სიმღერებს და ცნობილი სოლისტები ბ-ნნ- **გ. ცხომელიძე** და **ალ. კავსაძე** იმღერებენ „solo"-ს **„გადმიშვი მთაო"**, **„ურმულს"** და სხვ

ბავშვთათვის 5—7 საათამდე პროჟექტორი და ბაღში შესვლა უფასოდ. ყოველგვარი გასართობი და ბუფეტი საჭმელ-სასმელით. შესავალი ფასი 20 კაპ., ლოტარეის ფასი 20 კაპ.

დასაწყისი დღის 2 საათზე. (2—უ.—1)

ამხ. „სორაპნის" გამოცემა
„ახალი ჩანგი"

20 ამ თვისთვის ვეღარ გამოვიდა, რადგან წიგნის სიპატარავის გამო განმრახული მასალა აღარ ჩაეტია, ხოლო შემოკლებით გამოცემა წიგნისა კი უხერხულად ვცანით. ამიტომ „ახალი ჩანგი" გამოვა დიდი ზომის წიგნად, ე. ი. იქნება 450 გვ. და შეიძლება მეტიც. წიგნში ჩართული იქნება 50-ზე მეტი სურათი ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და მრავალი ახალი ვინეტკა განგებ «ახალი ჩანგისათვის» ამოჭრილი. ხელის მომწერთათვის ეს წიგნი ეღირება 50 კაპ., **ვისაც 25 კაპეიკი გადახდილი აქვს, მან კიდევ 25 კაპ. უნდა დაუმატოს. ვინც არ მოისურვებს 25 კაპ. დამატებას, მას შეუძლია თავისი 25 კაპ. უკანვე წაიღოს.** ფულის უკანვე მიღება და დამატება შეიძლება იმ აგენტთან, სადაც ნაყიდია „ახალი ჩანგის" კვიტანციები. ფულის დამატება შეიძლება **ივლისის 10 რიცხვამდის.** ვინც ამ ხნის განმავლობაში 25 კაპ. არ დაუმატებს, მას წიგნი აღარ მიეცემა, მხოლოდ პირველად შემოტანილი ფული 25 კაპ. დაუბრუნდება უკან, როცა მოითხოვს. ვისაც ფოსტის საშუალებით აქვს გამოწერილი, მათაც ამნაირის წესით უნდა დაუმატონ.—ვინც 10 ივლისამდე არ დაუმატებს, მას თავისი მარკები უკანვე გაეგზავნება.

რადგან „ახალი ჩანგი" დიდი ზომის წიგნია და დაუკაზმავად უხერხული სახმარი იქნება, ამიტომ ჩვენ ვაკეთებინებთ ყდებს. ყდები საუკეთესო „რიპსის" კალენკორისაგან იქნება გაკეთებული, მოვარაყებულის წარწერებით. ხელის მომწერთათვის ყდა ეღირება 25 კაპ. (ამნაირი ყდა ცალკე წიგნის 50 კაპ. ღირს). ვისაც ენებება, რომ წიგნი ყდიანი მიიღოს, მან უნდა დაუმატოს სულ 50 კაპ.

«ახალი ჩანგი» ცალკე გასასყიდადაც გამოვა. ყდიანი ეღირება 1 მ. 25 კაპ.

ახალი ხელის მომწერლები აღარ მიიღებიან. „წიგნი გამოვა ივლისის დამლევს».

ფოსტის ადრესი: Тифлисъ т-во „Сорапанъ" М. Гачечиладзе. (7—ნ.—4)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების ხნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—112)

ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 98)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. ხუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—180)

სახალხო სახლი.

შაბათს, 27 ივნისს, გაიმართება

◀ ინტერნაციონალური ▶

კონცერტი

წაიკითხავენ ლექსებს და იმღერებენ, ქართულად, რუსულად, სომხურად, თათრულად, გერმანულად, ოსურად, ფრანგულად, ესპერანტოზე, იტალიანურად, პოლონურად, მალოროსიულად და სხვა ენებზე. აგრეთვე დაუკრავენ სკრიპკაზე ძმები პანცევები. 7 და 8 წლის და და ძმა იმღერებენ ოპერიდან „პიკოვაია დამა"; ვ. ურუშაძე წაიკითხავს გურულ სცენებს; ი. ივანიძე და ჯაბაური წაიკითხავენ ლექსებს. ბ. მინიონსკი წაიკითხავს შეშლილის წერილებს—აპუხტინისას.

ბოლოს საზანდარი და ლეკური. დაწვრილებით პროგრამებში.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ადგილების ფასი 5 კ.-დან—50 კაპ. ბილეთები იყიდება ყოველ დღე სახალხო სახლის კასაში დილით 12—2 ს. საღამოთი 6—8 საათზე.

(2—134—2) გამგე **თ. დოლიძე.**

კვირას, 28 ივნისს, **გ. კანევსკი** წაიკითხავს ლექციას

გრაფოლოგიაზე

ანუ წერაში ხელის განსაკუთრებულ თვისებაზე.

ფიზიოლოგიურ და პსიხოლოგიურ საბუთებით არკვევს, რა კავშირი აქვს კაცის ხასიათსა და ნაწერის ხელს და იგებს მისს სულიერ ცხოვრებას.

ლექცია დაიწყება დილის 11 ს. ფასები 5 კ.-დან 50 კაპეიკამდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში დილით 12—2 ს. საღამოთი 6—8 საათზე. (2—314—2)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

- **ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
- **ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.
- **ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.
- **გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.
- **ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- **ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- **ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- **მ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

- **ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.
- **ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—95)

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან ხნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

საჭიროა

მასწავლებელი

წერა-კითხვის საზოგადოების სკოლისათვის ს. დიდ-გომარეთში.

(ბორჩალოს მ.)

მასწავლებელს ექნება ბინა და ჯამაგირი თვეში 30 მან.

მსურველმა უნდა გამოგზავნოს თხოვნა და საჭირო საბუთები გამგეობის სახელზე (ტფილისი, წერა-კითხვის საზოგადოება). (3—2)

ტფილისი, 27 ივნისი

დეპეშები იუწყებიან, რევოლიუციონერებმა თეირანს ალყა შემოარტყესო. საყურადღებო მომენტია. ორი წელიწადია სპარსეთის ხალხი თავ-გამოდებით ებრძვის შაჰის მთავრობას; ხან სუსტდებოდა ეს ბრძოლა, ხან ძლიერდებოდა. თავდაპირველად ბრძოლა პროვინციებში დაიწყო. მაშინ ბევრს ეს ბრძოლა უბრალო ამბოხებად ეჩვენებოდა არავინ არა ფიქრობდა, რომ დაწყებული ბრძოლა მკვიდრს, შეურყეველ ნიადაგზე იდგა. რეაქციონერები ყაჩაღებად ნათლავდნენ რევოლიუციონერთა პატარა ჯგუფებს. ისინიკი, ვისაც გულწრფელად სურდა ხალხურ მოძრაობის გამარჯვება, დარწმუნებულნი არ იყვნენ, რომ დაწყებულ მოძრაობას მთელი სპარსეთის ხალხი დაუჭერდა მხარს. საზოგადოდ ყველა რალაც სკეპტიკურად უყურებდა სპარსეთის რევოლიუციას.

ასე იყო მოძრაობის დასაწყისში. მაგრამ გავიდა ხანი და არსებითად შეიცვალა გარემოება. მცირე ჯგუფები რევოლიუციონერებისა გაიზარდა, ხალხმა საკმაო თვით-შეგნება გამოიჩინა, და აი, დღეს ძლევა-მოსილი რევოლიუციონერები თეირანს არტყამენ ალყას. ძალთა ურთიერთობის დაწვრილებითი გამორკვევა ძალიან ძნელია, რადგან დეპეშათა სააგენტო სწორე ცნობებს არ გვაწვდის; მაგრამ დახლოვებით მაინც შეიძლება ითქვას, რომ რევოლიუციონერებს საკმაო ძალა უნდა ჰქონდეთ. ასე რომ არ იყოს, თეირანზე თავის დღეში იერიშს ვერ მიიტანდნენ. თეირანში ბრძოლას, უეჭველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. შაჰის რეზიდენცია აკრავს თეირანს... ცხადია, თუ შაჰის მომხრეებმა თეირანში გაიმარჯვეს, რევოლიუციაც, დროებით მაინც, დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს. რევოლიუციონერებს რომ საკმაო ძალა არა ჰქონდეთ, ასეთს ნაბიჯს არ გადასდგამდნენ. თუმცა შეიძლება, რევოლიუციონერებს სხვა მოსაზრებითაც ხელმძღვანელობენ, როდესაც თეირანს ალყას არტყამენ. მკითხველს, უეჭველია, ეცოდინება, რომ რუსეთმა სპარსეთში ჯარი გაჰგზავნა. ოფიციალურის განცხადების თანახმად, ჯარი სპარსეთის შინაურ საქმეებში არ ჩაერევა, იგი მხოლოდ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს დაიცავს. ამასთან ერთად ჯარს ნაბრძანები აქვს, კაზვინზე შორს არ წავიდეს. კაზვინი კი დაახლოვებით 60 ვერსის მანძილზე თეირანიდან. რადგან სპარსეთის რევოლიუციონერები ცოტა ეჭვის თვალით უყურებენ რუსეთის ოფიციალურ განცხადებას, შესაძლებლია ააჩქარონ საქმე და თეირანის აღება რუსეთის ჯარის ჩასვლამდე მოისურვონ.

ასე თუ ისე, შაჰსა და რევოლიუციონერებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა. რა შედეგი მოჰყვება ამ ბრძოლას,—სულ ახლო მომავალი გვიჩვენებს. ერთი კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, თუ სახელმწიფოებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, ჩაერივნენ სპარსეთის საქმეებში, მაშინ, გინდაც რომ გაიმარჯონ რევოლიუციონერებმა, სპარსეთის განახლების საქმე კვლავ შეფერხდება.

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოთი 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში 1 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით ხნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—3)

იყიდება

იაფად **საავარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (50—ნ.—8)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ მან უკვე დაიწყო მოქმედება და სთხოვს ქართველ ხალხში განათლების გავრცელების თანამგრძნობელთ ჩაეწერნენ განყოფილების წევრებად ან გაუწიონ მას ნივთიერი დახმარება და ამით მისცენ საშუალება პირნათლად შეასრულოს თავისი დანიშნულება.

საწევრო ფული და შემოწირულება მიიღება ქუთაისში: ქართულ გიმნაზიაში—იოსებ ოცხელთან, ქალაქის გამგეობაში—იაკობ ფანცხავასთან, შავი ქვის მრეწველთა საპქოში—გიორგი ზდანოვიჩთან და განყოფილების ხაზინადართან—ბართლომე მოსეშვილთან. (10—ნ.—8)

ბ-ნი თოროზოვი მიწვევს საამხანაგო ანგარიშების გასასწორებლად. დიახ, ერთხელ და საბოლოოდ სჯობს ჩვენ დაწყებულ საქმეებში განვშორდეთ ერთმანეთს, მით უმეტეს, რომ კანტორა ყველა მემამულეებისა მიიკეტ-მოიკეტა, და რადგან ამხანაგური ანგარიში ხშირად აყალ-მაყლად იქცევა ხოლმე, ამისა გამო ჩემის მხრით მედიატორეები მზადა მყავს. აგრეთვე ვთხოვ ჩემს ამხანაგე ს ბ-ნ გაჩეჩილაძეს, ბ-ნ თოროზოვს და ალექსანდრე და ნიკოლოზ გაბაშვილებს (რომელნიც ანგარიშების წყალობით ფულის გაფლანგვას გვაბრალებენ), ამოირჩიონ თავიანთი მედიატორენი და გადამწყვეტი ხმა მისცენ მათ. მედიატორეების დადგენილება კანონიერი და საბოლოო უნდა იყოს. ვადათ ვნიშნავ ერთ კვირას ამ განცხადების დაბეჭდვიდან. **ისაკ ბახტაძე.**

(1—1)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

უცნაურად იწერება ხანდისხან ისტორია...

ბ-ნი გრ. დიასამიძე გაზეთ „ზაკავკ."-ში ორიოდე სიტყვით იხსენიებს ივანე მაჩაბელს. დიაღაც კარგი განზრახვაა: ივანე მაჩაბელი ღირსია მოგონებისა და კეთილად ხსენებისა; ბევრი პირადი ღირსების პატრონიც იყო, ნიჭიერი და სასარგებლო მოღვაწე. მაგრამ ბ. დიასამიძე ივ. მაჩაბლის პიროვნების დახასიათებით არა კმაყოფილდება და სწერს უცნაურ ისტორიას „მაჩაბელიზმისას". თურმე ნუ იტყვით, „მაჩაბელიზმი" დიდებული რამ მოძრაობა ყოფილა, რომლიდანაც საქართველოს აღორძინება დაწყებულა. ყური დაუგდეთ:

> „მაჩაბელიზმი" არ იყო მოძრაობა მარტო საბანკო ცხოვრების ვიწრო სფერაში. ეს იყო „ახალგაზდა საქართველოს" გაღვიძება. მართალად მაგრამ მაინც ახალი სახელმძღვანელო იდეები ირკვეოდა. ეს იყო პროტესტი დახავსებული ცხოვრებისა და რუტინის წინააღმდეგ. მარტო ის გარემოება რომ ბევრი ელემენტი, რომელთაგან შემდეგში შესდგა მთელი წყება ხალხის ინტერესების თანამგრძნობთა, „მაჩაბელიზმის" მხარეზე იყო, გვიჩვენებს, რა ღრმა საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მოძრაობას ჩვენს ცხოვრებაში...

როგორც ხედავთ, ისტორიკოსი აღარ ხუმრობს და ერთობ „მაღალის შტილით" სწერს თავის ისტორიას. მაგრამ მკითხველი ამაოდ მოელის... შინაარსს. ვკითხულობთ ლამაზად შეწყობილ ფრაზებს, ხელში-კი არაფერი გვრჩება. რაში გამოიხატება ეს მოძრაობა, რა სახელმძღვანელო იდეები შეიმუშავა „მაჩაბელიზმმა", რა შესძინა ჩვენს ცხოვრებას—სამწუხაროდ ამას ბ-ნი დიასამიძე არ გვიმღავნებს. სცდება ისტორიკოსი, თუ ჰგონია, რომ ეს „ყველამ იცის" და კომენტარიები საჭირო არაა. პირიქით, სულ ახალი მხილებაა ის „ახალგაზდა საქართველო", რომლისთვის „მაჩაბელიზმს" მიუცია დასაბამი, და ისტორიკოსი მოვალე იყო აეხსნა ჩვენთვის მოძრაობის ნამდვილი ხასიათი და მნიშვნელობა. დიდად პატივსა ვსცემთ თვით ივ. მაჩაბლის პიროვნებას, მაგრამ ეს „მაჩაბელიზმი" რაც იყო, ამაზე დღემდის სულ სხვა წარმოდგენა გვქონდა და მაღალ ფრაზებით ამ წარმოდგენის დარღვევა არ შეიძლება... ის ორიოდე „ფაქტი", რომელიც ბ-ნ დიასამიძეს მოჰყავს, რბილად რომ ვთქვათ, სასაცილოა მხოლოდ. პირველი:

> მე კარგად მახსოვს ის აურებელი წერილები და ადრესები, რომელიც ივ. გიორგ. მაჩაბელს მოსდიოდა და რომელნიც მჭერმეტყველურად ამტკიცებდნენ, ვის მხარეზე იყო ახალ ძალების თანაგრძნობა...

ეს რაღა საბუთია? მოწინააღმდეგეებმა რომ აიღონ და დათვალონ—რამდენი დეპეშა და ადრესი მისვლია ჭავჭავაძეს და მეტი რომ გამოვიდეს, მაშინ „ახალგაზრდა საქართველოს" აღორძინება მითად იქცევა?.. მეორე „ფაქტი": ბ-ნი დიასამიძე გვარწმუნებს, რომ ერთ მხარეზე იყო ყოველივე, რაც კი რამ დახავსებული და გახრწნილი იყო ჩვენს ცხოვრებაში, ხოლო მეორე მხარეზე შეიკრიბა და შეგროვდა მთელი ნიჭიერება ქართველ ხალხისა:

> მაჩაბელს ჰქონდა საოცარი უნარი ყველა ნიჭიერ ელემენტების თავის გარშემო შემოკრებისა...

ყველას გვახსოვს, ვინც იყვნენ „მაჩაბელიზმის" მეთაურნი. მათ დასახელება რა საჭიროა. რა თქმა უნდა, ზოგი მათგანი ღირსეული მოღვაწე იყო და არის ღვთის მადლით დღესაც, მაგრამ „ახალგაზდა საქართველოსთან" რა კავშირი აქვთ,—ეს ვერ გაგვიგია...

არა, პატივცემულო გრ. დიასამიძე, ასე ისტორია არ იწერება. მართალია, რომ ჩვენი ცხოვრება იმ ხანაში „დახავსებული ტბა" იყო, მართალია, თუ გნებავთ, ისიც, რომ იმ ხანაში ჩყრებოდა საძირკველი ახალ მოძრაობისა, მაგრამ „სრულიად საფუძველს მოკლებულია", როგორც იტყვიან ხოლმე ქრონიკიორები, ვითომ იმ დახავსებულ ცხოვრების დამცველი იყო ჭავჭავაძის ავტორიტეტი, ხოლო ახალ გზების გამკაფველად საქართველოს „მაჩაბელიზმი" მოევლინა. დაგვეთანხმეთ, ბატონო, რომ მეტის-მეტია...

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 ივნისი

სპარსეთი

თეირანი. 24 ივნისს კაზვინში შეიკრიბნენ ადგილობრივი რევოლიუციონერები, მოლები და მოქალაქენი. მათ დაადგინეს მოუცადონ, რა შედეგს მოიტანს რუსეთისა და ინგლისის ელჩების შუამავლობა შაჰსა და რევოლიუციონერებს შორის და ამის შემდეგ გადასწყვიტონ, როგორ იმოქმედონ. ქურთების ორმა მეთაურმა თავი მიანება სეპეხდარს. მათ თავი შეაფარეს რუსეთის საკონსულოს, კერმან შაჰში. სომხები და რევოლიუციის სხვა თანამგრძნობნი ფულსა ჰკრეფენ სეპეხდარის ჯარის და ბახტიარების შესანახად. კერმანშაჰში შედარებით მშვიდობიანობაა. 14 ივნისს ისპაჰანიდან ასადთან შესაერთებლად 200 ბახტიარი წამოვიდა. ამას გარდა 500 ბახტიარი კიდევ ემზადება წამოსასვლელად. რუსეთისა და ინგლისის ელჩების მოლაპარაკებამ შედეგი ვერ მოიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბახტიარები წასვლას განაგრძობენ. ენზელში მივიდა ლაბანის ყაზახთა პოლკი. ეს პოლკი კაზვინში მიდის.

თავრიზი. სათარ-ხანი სტამბოლში წასასვლელად ემზადება. შაჰსევანებმა აიკლეს არდებილის ოლქის სოფლები. ესენი თავრიზს უახლოვდებიან. შაჰსევანთა მოწინავე რაზმები გამოჩნდნენ ბასმინჯას მახლობლად, თავრიზიდან 20 ვერსის მანძილზე.

ოსმალეთი

სტამბოლი. საპარლამენტო კომისიის წევრი ბაბიკიანი ადანიდან დაბრუნდა. გაზეთ „ტასვირი-ეფკიარი“-ს თანამშრომელს გადასცა მან, რომ ადანის ვილაეთში აწიოკების დროს 24,008 კაცი დაშავებულა, 620 მაჰმადიანი, 318 სირიელი ქრისტიანი, 168 ქალდეველი, 150 კათოლიკე-ქალდეველი, 220 კათოლიკე-სომეხი, 655 პროსტანტი-სომეხი, 99 ბერძენი და დანარჩენი — 17,778 სომეხი-გრიგორიანიო. ბაბიკიანი ადანის სამხედრო სასამართლოს უსამართლობას აბრალებს.

დეპუტატთა პალატის კომისიამ უარ-ჰყო მთავრობის კანონ-პროექტი, რომლითაც არაბეთში ავტონომია უნდა დაწესდეს. კომისიამ თვითონ შეიმუშავა პროექტი არაბეთში მართვა-გამგეობის შესახებ. ამ პროექტით არაბეთს ახალშენის უფლება ექნება. მისი მართველობა შარიათის და ყორანის მიხედვით მოეწყობა. მოხელეებად ადგილობრივი მკვიდრნი იქნებიან. მართველობის კონტროლი ოსმალეთის უმაღლეს მთავრობა იქნება. განზრახულია შესდგეს ადგილობრივი ჯარი.

დეპუტატთა პალატამ განიხილა მთავრობის მოთხოვნა. მთავრობა თხოულობდა სამხედრო სამართალში მისცეს დეპუტატი იზმაილ-ქემალი, აჰრარების მეთაური და ალბანელების ხელმძღვანელი. იზმაილ-ქემალი იმალება. პალატამ დაადგინა, უარ-ჰყოს მთავრობის მოთხოვნა.

მიწის-ძვრა

სამარკანდი. ნაშუაღამევს 2 საათზე მიწა იძრა. მიწის ძვრამ 4 წამს გასტანა.

კერკი. ნაშუაღამევის 2 საათზე კარგა ძლიერი მიწის-ძვრა იყო. ზოგიერთი სახლის კედლები დაზიანდა.

კოკანდი. ნაშუაღამევს $2\frac{1}{4}$ საათზე მიწა იძრა.

კატტა-კურგანი. ნაშუაღამევს 2 საათზე მიწა იძრა. მიწის-ძვრამ 3 წამს გასტანა.

ტაშკენტი. ნაშუაღამევის 2 საათსა და 16 წამზე კარგა ძლიერი მიწის-ძვრა იყო. მიწის-ძვრამ 2 წამს გასტანა. სეისმოგრაფის ჩვენებით მიწის ძვრა მოხდა აღმოსავლეთ ბუხარისა, პამირისა და გინდუკუშისაკენ.

ნოვაია-ბუხარა. ნაშუაღამევს 2 საათზე მიწა იძრა. მიწის-ძვრამ 40 წუთს გასტანა. ზოგიერთ სახლის კედლები დაზიანდა.

სიმლა. 25 ივნისს დილა-ადრიან კარგა ძლიერი მიწის-ძვრა იყო. ჯოკარდუდან იტყობინებიან, აქაც მიწის-ძვრა იყოვო.

საზღვარ-გარედ.

პარიზი. 25 ივნისს მოვიდნენ სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს დეპუტატები. დეპუტატები მიიღო სამედიატორო სასამართლოს საფრანგეთის ჯგუფის თავმჯდომარემ დესტურნელ-დე კონსტანმა. მიღება მოხდა ლიუქსემბურგის სასახლეში. დესტურნელ-დე-კონსტანმა დეპუტატები გააცნო საფრანგეთის სენატორებს და დეპუტატებს. სენატის ვიცე-პრეზიდენტი კორდიე დეპუტატებს პრეზიდენტის სახელით მიესალმა. სიტყვა წარმოსთქვა ეფრემოვმა. მან მადლობა გადაუხადა მიღებისათვის და განაცხადა, მალე ვინახულებთ საფრანგეთს და ეს ჩამოსვლა ოფიციალური იქნებაო. დესტურნელ-დე-კონსტანმა სურვილი გამოსთქვა, რუსეთის საპარლამენტო-შორისო ჯგუფი საპარლამენტო-შორისო ქრისტიანთა კავშირში ჩაეწეროსო. დანკემ, საპარლამენტო-შორისო კავშირის მდივანმა, განაცხადა, კავშირში ჩაწერა სულ უბრალო საქმეაო. სტახოვიჩმა აღნიშნა დეპუტატების ჩამოსვლის მნიშვნელობა. დესტურნელ-დე-კონსტანმა განაცხადა, ეხლანდელ ჩამოსვლის ოფიციალური ხასიათი არა აქვსო და საფრანგეთის და რუსეთის დეპუტატები წინამორბედნი არიან იმისა, რომ უფრო მტკიცედ შევკავშირდებითო. დეპუტატებმა დაათვალიერეს ლიუქსემბურგის სასახლე და დაესწრნენ სენატის და დეპუტატთა პალატის სხდომებს.

სტოკჰოლმი. პარლამენტის სადგომში დაიწყო კონგრესი ჭლექის შესასწავლად. კონგრესში მონაწილეობას იღებენ უცხო ქვეყნის წარმომადგენელნი. კონგრესის გახსნას დაესწრნენ მეფე-დედოფალი.

რუსეთი

პეტერბურგი. სასახლის მინისტრის დეპეშა: 25 ივნისს ხელმწიფე-იმპერატორის მატარებელი სადგურ ლუნინეცზე გაჩერდა. ხელმწიფე-იმპერატორს სადგურზე დაუხვდნენ პინსკის მუშების 10 რწმუნებული, ადმინისტრაცია და აუარებელი ხალხი. ხელმწიფე გადმობრძანდა და მიიღო პურ-მარილი. ხალხთან და დეპუტაციასთან გამომშვიდობების შემდეგ ხელმწიფე მატარებელში ჩაბრძანდა. მატარებელი ხალხმა „ურას“ ძახილით გააცილა.

20 ივნისს დაიწყო კრება იმ კომისიისა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ზომები პეტერბურგის სანიტარულ მდგომარეობის გამოსაკეთებლად. კომისიაში თავმჯდომარეობს პრემიერ-მინისტრი სტოლიპინი. კრება გაიხსნა პრემიერ-მინისტრ სტოლიპინის სიტყვით. მან, სხვათა შორის, სთქვა, ქალაქის სანიტარული მდგომარეობა აუწერელ პირობებშია, რაიც ხოლერის და სხვა ავადმყოფობის გავრცელებას ხელს უწყობს და ამას ბოლო უნდა მოეღოსო. კომისია იმ აზრს დაადგა, რომ ხოლერის გავრცელებას ცუდი წყალი უწყობს ხელს და ამიტომ საჭიროა, ლადოგის ტბიდან იქნას წყალი გაყვანილი. რადგან ეს დიდ დროს ითხოვს, ისეთი ზომები უნდა მივიღოთ, რომ მცხოვრებთ წმინდა და სუფთა წყალი ჰქონდეთო.

ვოლოგდა. ხოლერასთან საბრძოლველად ქალაქის თვითმმართველობამ გადასდო 34,350 მანეთი.

პეტერბურგი. 23 ივნისს ხელმწიფე-იმპერატორმა მიიღო კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 97, გარდაიცვალა 42, მორჩა 37, ავად არის 711 კაცი.

30 ივნისს დაიწყება სრულიად რუსეთის წიგნების გამყიდველთა და გამომცემელთა კრება. ჯერ ჯერობით ჩაეწერა 115 კაცი.

შლისელბურგი, ნოვოლადოგის მაზრა და არხანგელსკის გუბერნია ხოლერის მხრივ საშიშო ადგილებად იქმნენ გამოცხადებულნი.

ნაშუადღევს 2 საათზე სეისმოგრაფმა აღნიშნა მიწის-ძვრა ურალზე.

პავლოგრადი. მიხაილოვის საზოგადოებაში სეტყვამ გააფუჭა 15,000 დესეტინა ნათესი. ზარალი 600,000 მანეთს უდრის. მემამულე კლორკის მამულში სეტყვამ მოჰკლა სამი მუშა და ერთი ცხენი.

მოსკოვი. დაიჭირეს იმ ბრბოს მეთაური, რომელმაც 1908 წელს მოსკოვში საერთაშორისო ბანკი გაცარცვა.

იაროსლავლი. მინდინის მაზრაში ხოლერით სამი კაცი გახდა ავად.

„დროების“ ხვალინდელ „სურათებიან დამატების“ შინაარსი. „აწიოკება“— მოთხრობა, თარგ. გ. კ—ძისა, წვრილი ამბავი; სურათები: „დატყვევებული დედა“,—ქანდაკება სტეფანე ზინდინგლისა; რეშტ-კაზვინის რევოლიუციონერთა მეთაური სეპეხდარი და სპარსელი რევოლიუციონერები.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **წერა-კითხვის საზოგადოება.** წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ 25 ივნისის სხდომაზე 10-მდე მიმდინარე საქმე განიხილა. გამგეობამ სხვათა შორის განიხილა მოხსენება მდივნისა საქართველოს ნაციონალურ ბიბლიოთეკა-მუზეუმისათვის დროებით შენობის მოწყობის შესახებ. როგორც ვწერდით, მთავარ გამგეობას აზრადა აქვს, ბიბლიოთეკა მუზეუმისათვის დროებით გადააკეთოს განსვენებულ ილია ჭავჭავაძის ნაანდერძევი სახლი ანდრეევის ქუჩაზე. გამგეობამ გეგმის შედგენა მიანდო ბ-ნ ს. კლდიაშვილს. მისი გეგმა გამგეობამ ამ სხდომაზე განიხილა. გამგეობამ გადასწყვიტა გაუგზავნოს იგი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს და სთხოვოს ერთი კვირის განმავლობაში აცნობოს თავისი აზრი როგორც გეგმისა, ისე საზოგადოდ მუზეუმისა და ბიბლიოთეკისათვის საჭირო შენობის აგების შესახებ. ამავე სხდომაზე გამგეობამ მოისმინა ქ-ნ ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის განცხადება სოფ. ბელთუბანში სკოლის განახლების შესახებ. გამგეობამ დაავალა თვით ან. წერეთლისას და ლ. ბოცვაძეს დაათვალიერონ ადგილობრივ ხელთუბნის სკოლის შენობა და შეადგინონ ხარჯთ აღრიცხვა შენობისა. ეკ. გაბაშვილის თხოვნა (მის მოთხრობების გამოცემის შესახებ) გამგეობამ განსახილველად გადასცა საადმინისტრაციო სექციას.

◆ **ერობის შესახებ.** ტფილისის ქალაქის თავის მოადგილემ გუშინ წერილი მიიღო ქუთაისის ქალაქის თავის თავ. ლორთქიფანიძისაგან. თავ. ლორთქიფანიძე სწერს გამგეობას, ქუთაისის ქალ. გამგეობამ მიიღო ქუთაისის გუბერნატორისაგან ნამესტნიკის მიერ გამოცემული ცირკულიარი კავკასიაში ერობის შემოსაღებად საჭირო მასალის შეკრებისა და შემუშავების შესახებ. გამგეობას გადაწყვეტილი აქვს, დაუყოვნებლივ შეუდგეს მუშაობასაო. თავ. ლორთქიფანიძის აზრით, რადგან კავკასიაში ქალაქის სამმართველოები ერთად-ერთი დაწესებულებებია, რომელთაც გამოცდილება აქვთ თვით-მმართველობის საქმეში, ამიტომ ქალაქის სამმართველოები მოვალენი არიან, შეამზადონ საერობო დაწესებულებათა შემოსაღებად საჭირო მასალა და შეიმუშაონ ესა თუ ის საკითხი. ლორთქიფანიძე წინადადებას აძლევს ტფ. ქალაქის გამგეობას, იკისროს ინიციატივა და მოაწყოს, რაც შეიძლება მალე, ტფილისში საერთო კრება კავკასიის ქალაქების წარმომადგენლებისა. ამ კრებამ უნდა მოამზადოს საჭირო მასალა. თუ ვინიცობაა, სწერს თავ. ლორთქიფანიძე, ტფილისი არ იკისრებს კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა საერთო კრების მოწვევას, იმ შემთხვევაში გამოგვიგზავნეთ თქვენი მოხსენებანი და გაგვაცანით თქვენი შეხედულებანი საერობო დაწესებულებათა შესახებაო.

◆ **ხელშეკრულება.** უსახელო საზოგადოებისა და ქალაქ ტფილისის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ახალ ხელ-შეკრულებაზე ტრამვაის შესახებ.

◆ **უცნაური თხოვნა.** მალოსუდებნი ქუჩაზე არსებობს ზუბალაშვილების მიერ შეწირულ ფულით დაარსებული შეუძლოთა სახლი: ამის გამო ქალაქის საბჭომ დაადგინა, ამ ქუჩას ზუბალაშვილის ქუჩა დაერქვას. ეხლა სახლის პატრონებს გუბერნატორისთვის უთხოვნიათ, გააუქმეთ საბჭოს დადგენილება ქუჩის სახელის გამოცვლის შესახებაო...

◆ **განთავისუფლება.** „კასპს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: 3 ივლისს განთავისუფლებენ პირველ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფს ჟორდანიას.

◆ **ტრიანდაფილიდის მკვლელი.** ქუთაისში სამხედრო სასამართლოს გაურჩევია საქმე მორგანოღლისა, რომელსაც სხვებთან ერთად ექიმ ტრიანდაფილიდის მოკვლა ჰბრალდებოდა. სასამართლოს მორგან-ოღლისთვის ჩამოხრჩობა გადაუწყვეტია.

◆ **კიდევ ძველი სემინარიის შენობა და ადგილი.** როგორც ვიცით, საქართველოს უკანასკნელი კათალიკოსი ანტონ მეორე რუსეთში გაიწვიეს და იქ დასტოვეს. კათალიკოსს 1811 წელს ჩამოერთვა ივერიის ეკლესიის მეთაურობა. ამ წლიდან მოისპო ავტოკეფალიური უფლებანი საქართველოს ეკლესიისა და ფაქტიური გამგე ჩვენის ეკლესიის სვე-ბედისა გახდა სინოდი და ადგილობრივი სასინოდო კანტორა, ექსარხოსის თავმჯდომარეობით. ყოველი საკითხი კანონით უნდა განიხილოს სასინოდო კანტორის საბჭომ და შემდეგ ყოველივე დადგენილება სისრულეში მოიყვანოს კანტორამ ექსარხოსის ხელმძღვანელობით. ბრძანება სინოდისა ისეთ დიდ საკითხის შესახებ, როგორც არის სემინარიის შენობისა და ძვირფას ადგილის გაცემა გაყიდვა, სასინოდო კანტორას არ მიუღია. ექსარხოსის თანამდებობის აღმასრულებელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა კანტორის გარეშე განკარგულება მოახდინა და საქართველოს საეკლესიო მამულის ბედიღბლის დასრულება მიანდო სასულიერო სემინარიის მმართველობას. სემინარია თავის მმართველობით სამეურნეო ნაწილის მხრივ, რამდენადაც ვიცით, ექვემდებარება სასინოდო კანტორას, რომელიც საეკლესიო მამულების გამგეა. ცხადია სემინარიის შენობისა და ადგილის იჯარის გამცემი თუ საზოგადოდ გამგე მართველი უნდა იყოს კანტორა და არა სემინარიის მართველობა.

◆ **გზა.** მარტყოფში წმ. მამა ანტონის მონასტრამდე თითქმის მიუვალი გზა იყო აქამდე. მონასტერმა გაიღო საჭირო ფული და როგორც გვატყობინებენ, მონასტრამდე მშვენიერი გზა გაუკეთებიათ.

საცინელი რა გვაქვს?

(დასასრული *)

როდესაც ჩვენი ცხოვრების აწონდაწონაზე მიდგება ხოლმე საქმე, განა მარტო ჩვენი მარქსისტ-ბრძენები, არამედ ბევრი სხვაც ისეთნაირად ზომავს საქართველოს ვითარებას, თითქოს მართლაც არა გვქონდეს-რა სატირალი და ჩვენი ცხოვრების სურათი სიხარულის მომგვრელი იყოს. რა კრიტერიუმი აქვთ ამ ადამიანებს, რაზედ აფუძნებენ თავიანთ ოპტიმიზმს,—არ ვიცით და ვერც გამოგვირკვევია. არ შეგვხვედრია არც ერთი სერიოზული ქართველი, რომ მისგან მოგვესმინოს საბუთები ამ ფრიად სასიამოვნო ოპტიმიზმისა. უკრიტერიოდ, პირდაპირ ნალაქლაქევი ოპტიმიზმი კი რისი მომასწავებელია, თუ არ ან დაღლილობისა და თვალთა განზრახ, საკუთარ გრძნობათა და გონების დასასვენებლად დახუჭვისა, ან და საქმის არა სერიოზულად განხილვისა და ლაპარაკისათვის ლაპარაკისა.

მუდამ დღე ვტყობილობთ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან საშინელ ამბებს,—გაჭირვებას, სჯულის გამოცვლას (რაიც ყოველისფერზე უფრო საშინელი მოვლენაა, გათახსირებისა და უკიდურესობამდის მისვლის მომასწავებელი), მიწის დაკარგვისა და ვინ იცის კიდევ რას. ჩვენი „საუკეთესონი“ ყურსაც არ იბერტყავენ,—რა უშავს, უარესი დღეები დაგვდგომია და არ კი გავმქრალვართო!

აგერ, ჩვენ თვალ-წინ გაჰყიდეს მუხრანსკებმა მიწა, მიჰყიდეს გერმანელებს ისეთ პირობებში, რომ ჩვენმა გლეხმა შიმშილით სული უნდა დალიოს, და გამოდგება ვინმე ჩვენი სვე-ბედის მატარებელი და იტყვის,—რა უყოთ, სხვას რას უნდა მოველოდეთ თავად-აზნაურობისგან, იგი გადაგვარებულია, აღმოცენდება ახალი ძალები და გვიხსნისო. სწორედ ის არის, საქმე რომ ახალი ძალები არ არიან და ძველი კი გადაგვარდა; სანამ ახალი გაჩნდებოდეს კი, ჩვენ საბუდარში ვინ იცის ვინა ჯდება! ესენი კი ლათაიებით გვანუგეშებენ!

არ გაგვაჩნია ჩვენ ენაზედ არც მეცნიერება, არც ხეირიანი ბელლეტრისტიკა, შესწყდა სულიერი შემოქმედება, მწერლობა უნიჭოთა ხელობა შეიქმნა და ნიჭი კი ჰქრება თუ სადმე არის, ჩვენი ცხოვრების სიდუხჭირისა გამო; პრესსა ეშმაკმა იცის რასა ჰგავს,—არავითარი იმედი არ არის მომავალში, რომ **სჩანდეს** სადმე და რაშიმე ჩვენი მწერლობის აღორძინება და—მაინც იცინე და იხარხარე—ყოველივე იქნებაო!

ჩვენი ეროვნული უფლება ფეხქვეშ არის გათელილი, პირდაპირ უარ-ყოფილია ქართველი ერი, თვით სახელი საქართველოსი უცხოთაგან და თვით ჩვენგან,—ჩვენ კი ზოგი ვლაქიაობთ მტრის წინაშე და ზოგი თეორიულადაც ვამტკიცებთ, ისიც კაცობრიობისა და ინტერნაციონალიზმის სახელით, ჩვენს არ-არსებობასა და ამ არ-არსებობის კანონიერებას!

მოდი და ამის შემდეგ გულიანად იხარხარე!

ერს რომ სარწმუნოების დაწესებულებათა ორგანიზაცია არ ექნება—ყოვლად უბედურია ის ერი, თუ მის ნაცვლად სხვა რამე არ შეუქმნია. ჩვენი ეკლესია დაგვითრგუნეს და მისი ნაცვალი კი არა გვაბადია რა. ჩვენი სამღვდელოება სდუმს და შიშით კვდება,—ხმაც-კი ვერ დაუძრავს თავის ეკლესიის აღდგენისათვის. ხალხს მისი აღარ დასცხელს,—სხვაც ბევრი ადგილი გასაჭირი. ჩვენი „თავისუფალი მოაზრენი“ კი მეზობელ ერს უკიჟინებენ,—„ვერ შეაშინებს პროლეტარიატს“ კლერიკალიზმიო და სხვა! თითქოს სომხის ერისათვის კათალიკოსი ეროვნულ არსებობის სიმბოლო არ იყოს, თითქოო საფრანგეთში ვიყოთ, რომ კლერიკალიზმის აჩრდილი აშინებდეს პროლეტარიატს, და არა ისეთ ქვეყანაში, სადაც პროლეტარსაც და ბურჟუასაც ტყავის დაცვა სჭირია უპირველეს ყოვლისა და სადაც რომელიმე ფიქტიურ უფლებასაც კი უნდა მოეჭიდო თავის დასაცველად, არა თუ ისეთ მნიშვნელოვან ეროვნულ უფლებას, როგორიც არის კათალიკოსობა! უბედური ჩვენი კრიტიკოსები! მართლაც არ იციან, რას აყრანტალებენ,—და თუ ჩვენ გვწამლავენ ასეთ შხამით, ერთი ჰკითხეთ, სხვას რაღას ერჩიან? მაგრამ არა, ამ არა მკითხეებს რომ ყურადღება მიაქციოს ვინმე ჩვენ მეზობელთა შორის, ისეთი სულელი არავინ იქნება. ჭკუა არ გაუცვალოთ ჩვენ მეზობლებს!

ჩვენში კაცი არ არის, რომ თავის ენერგიითა, ცოდნით და გმირობით ირგვლივ ხალხი შემოიკრიბოს სამუშაოდ, უკეთესი მომავლის შესაქმნელად, კარზე მომდგარ დიდ პრობლემათა გადასაწყვეტად. ეს კიდევ რა,—არც ერთ დარგში მომზადებული ადამიანები არა გვყავან, რომ იმ მცირე საქმეს, რომლის გაკეთებაც შესაძლებელია თანამედროვე პირობებში, ხეირიანად გაუძღვენ და წარმატების გზაზე დააყენონ.

ყოვლად ღატაკი ვართ იდეიურის მხრით. ყოველივე მშვენიერი და დიდებული იდეა შეირყვნა ჩვენის სოციალურ ცხოვრების ნიადაგზე: სოციალიზმი, ანარქიზმი, თავისუფალი აზრი, თავისუფალი სიყვარული, ინტერნაციონალიზმი. სოციალიზმი გაიგეს არა როგორც შემოქმედება შრომითა და გონებითა, არამედ როგორც განთავისუფლება შრომისაგან, არა-კეთილ-სინდისიერი მუშაობა, თანამედროვე პირობებში შეუძლებელი განაწილება ნაშუშევრისა,—რამაც ნდობა დაუკარგა ჩვენს მუშებს ყველგან, გამოდევნა იგინი სამშობლო ქვეყნის წარმოებიდანაც კი და ჩააყენა საშინელს მდგომარეობაში. ექსპროპრიაცია გაიგეს, როგორც შანტაჟი, ანარქიზმი—როგორც კაცის კვლა, თავისუფალი აზრი—როგორც რელიგიის შეგინება, თავისუფალი სიყვარული—როგორც გარყვნილება, ინტერნაციონალიზმი თათრულად,—როგორც ერთა ჩაგვრა და დიდ სახელმწიფოთა ბატონობა და მომავალი მსოფლიო მონობა! კიდევ ვინ იცის, რა არ გადაამახინჯეს ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში! ყველაფერს ველურობისა, უკულტურობისა და გონებისა და აზრის არარაობის ბეჭედი დაასვეს! და მართლაც, საქმე განა მარტო ტერმინებშია, სიტყვებში, იდეათა ბრწყინვალე სახელებში! უმშვენიერესი იდეებიც უსაზიზღრესს ფორმებს მიიღებენ ხოლმე, როცა მათი თესლი ღარიბ სოციალურ ნიადაგზე დასცვივდება.

ეს კიდევ არაფერი. უცხო იდეებს კიდევ ვინ დაეძებს, მაგრამ თვით ქართული ეროვნული იდეა რომ არ არის ჩვენში განცხოველებული და განვითარებული,—ეს მართლაც ჩვენი სულიერი სიმახინჯის მომასწავებელი არ არის? სად ნახავ მთელ ქვეყანაზე ისეთ ჩაგრულ ერსა, თუ მართლაც იგი ღირსია ერის სახელისა და კულტურულ კაცობრიობის ნაწილია, რომ იქ ეროვნული იდეა არ იყოს გაბრწყინებული. მეტადრე ეხლა, როდესაც ეროვნულმა იდეამ საზოგადოდ გაიღვიძა და ირლანდიიდან დაწყებული ინდოეთამდე მთელს ევროპაში და აზიაში ყოველი პატარა ხალხიც კი სცდილობს საქვეყნოდ დაიცვას თავის არსებობის უფლება, თავი შესწიროს ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლას!

ჩვენში კი საქართველოს იდეალური ერთობაც კი არ არის. გადაფხიკეთ ჩვენი ჭიანი გულები და რამდენს ნახავთ იქ იმერლისადმი სიძულვილს ქართლ-კახელისას, მეგრელისადმი სიძულვილს გურულისას, და მებრვე. პირველ-ყოფილ მდგომარეობაშია ეროვნულად ის ხალხი, რომლის ნაწილთაც ასეთი გრძნობანი აქვს დამარხული გულში ურთი-ერთისადმი!

ეროვნული იდეა კი აუცილებელია, წინამორბედია ჩაგრულ ერის კულტურულ განათლებისა ყოვლის მხრით, თვით სოციალიზმის მხრითაც. თუ შეერთებულმა ძალებმა არ შეჰქმნეს საერთო ორგანიულ ცხოვრების მქონე ერი, მისი სიმდიდრე, მისი თავისუფლება, მისი კულტურა ნივთიერი და სულიერი,—ოდეს ჟამი მოაღწევს, რისი ექსპროპრიაცია უნდა მოახდინოს მშრომელმა უმაღლეს საზოგადოებრივობის ფორმის შესაქმნელად, თუ არა იქნება-რა საექსპროპრიაციო? არარაობისა? არარაობისაგან არარაი წარმოსდგების! მაგალითისთვის მეზობელ სომხებს მაინც შევხედოთ, შორს რომ არ წავიდეთ. მიუხედავად მათი მთელის ქვეყნის პირზე გაფანტულობისა, მანძილმა ვერ დაუშალა მათ ერთობის შექმნაც და ამ ეროვნულ იდეიისაგან შექმნილ ერთობაზე ჰქმნიან ისინი თავიანთ მომავალ ეროვნულ სიძლიერეს, თავიანთ **ერსა, ეროვნებას.**

მეპრესსე მიკიჟინებდა,—ქართველი აღარ არის საქართველოშიო, ამას ამბობს (B—ო და დამცინოდა, უკვირდა ჩემი ასეთი საშინელი სიტყვა. მაგრამ, დალოცვილს იმდენი ჭკუა მაინც უნდა ეზიარებინა ჩემთვის, რომ დათია ჭუმბაძეები და ყარამან კეთილაძეები დამენახა საქართველოში! მარქსისტი არა ვარ, მაგრამ მოიღონ ამ ბრძნებმა ისეთი სულ-გრძელობა, რომ მაჩუქონ ნიჭი მათის ხილვისა. ხოლო ერთი კი უნდა მოვახსენო, რომ თუმცა ძლიერ დავუმადლებ მათ ასეთის ნიჭის მომადლებისათვის, მაგრამ არა მჭირდება. ქართველის არ არსებობა ჩემთვის არა ნიშნავს იმას, რომ სინოდალურ კანტორაში ჩაწერილ პირთ გვარები „ძეებზე“ და „შვილებზე“ აღარ ბოლოვდება (ხან-და-ხან ესეც ხდება ხოლმე, ხშირადაც!). მე ქართულ **ფსიხიკის** გაქრობაზე მოგახსენებთ, ქართულ **ხასიათის ერთობაზე** მოგახსენებთ, და არა ჭუმბაძეებზედ და ჩიბურდანიძეებზედ. მე ქართული **სულის** სიმტკიცეს ვერა ვხედავ, თორემ ძალიან კარგად ვიცი, რომ ქართველი ორ მილიონამდის არის, კიდევ მეტიც, როგორც ბევრი ამბობს. მე სწორედ ის მაწუხებს, რომ ამ ორმილიონ ქართველთა შორის აღარ არის სურვილი საქართველოს რეალურ არსებობის აღდგენისა და სხვა ერთა შორის თავისუფლად დადგომისა. მე სწორედ ის „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“-ის ზარივით მოგუგუნე ხმა აღარ მესმის, რომელსაც დეგენერანტები დასცინიან,—ხმა წარსულ გმირთა, ხმა ერთად-ერთი მაჩვენებელი ეროვნულ სიცოცხლისა, ხმა, რომელიც შეიძლება მტერს არ ესმოდეს და გაიგონოს მხოლოდ მაშინ, როდესაც

---

*) იხ. „დროება“, N 139.

◆ ექსარხოსის მოადგილის წასვლა. საქართველოს ექსარხოსის მოადგილე ბაქოს ეპისკოპოსი გრიგოლი ორი თვით მიდის რუსეთში. ექსარხოსის თანამდებობის აღსასრულებლად მოიწვევენ იმერეთის ეპისკოპოს გრიგორს.

◆ მიგდებული ბავშვი. 25 ივნისს, ღამის 12 საათზე, ოლგას ქუჩაზე მე-62 სახლის შესავალთან პოლიციამ ნახა მიგდებული ბავშვი მდედრობით სქესისა, ასე ერთვისა. არ გასულა რამდენიმე წამი, პოლიციელმა სკვორცოვმა ვერაზე დააპატიმრა ტფილისის მცხოვრებნი დარიკო კუბულაშვილი და ნიკოლოზ ლიხეშაშვილი, საბურთალოზე მცხოვრებნი. გამოკითხვის დროს ეს პირნი გამოტყდნენ, რომ ბავშვი მათ დააგდეს და რომ ისინი ამ საქმით სცხოვრობენ. თურმე ოლგას საბებიო ინსტიტუტიდან გამოიყვანენ პატარა ბავშვს საძიძოდ და ცოტას ხანს შემდეგ მიაგდებენ ბავშვს სადმე. ამ რიგად, ისინი კარგ ფულის აღებასაც ახერხებენ.

◆ სემინარიის გადატანა. ტფ. სასულიერო სემინარიის ძველი შენობა უკვე დასცალეს და სემინარიის ნივთები, ბიბლიოთეკა, საკლასო პარტები და სხვა გადაიტანეს ახალ შენობაში ვერაზე. სემინარიის სამმართველოს მოწვევაზე ჯერ არავინ გაჩენილა არც მყიდველი და არც იჯარით აღების მსურველი.

◆ სახალხო სიმღერები. ფილარმონიულ საზოგადოების საფასით და დავალებით ბ-ნი ზ. ფალიაშვილი შეუდგა მის მიერ გადაღებულ სახალხო სიმღერების გამოცემას. ბ-ნ ფალიაშვილმა დაასრულა სამი კრებული სვანურ, ქართლ-კახურ, გურულ-მეგრულ სიმღერებისა და კიდეც გაჰგზავნა მოსკოვში გამოსაცემად. პირველ კრებულში მოთავსებული იქნება 20 სვანური სიმღერა, აგრეთვე ქართლ-კახურ-მეგრულ-გურული სიმღერები სულ 42-მდე, მეორე კრებულში საეკლესიო საგალობლები ქართლ-კახურ კილოზე, ხოლო მესამე კრებულში—სახალხო სიმღერებივე ბ-ნ ფალიაშვილის მიერ შემუშავებული, და ორი რომანსი. სამივე კრებულის გამოცემა დაჯდება 800 მანეთამდე. ბ-ნ ფალიაშვილი ქართლში სიმღერების გადასაღებად მიემგზავრება დღეს, 27 ივნისს. იგი ლიახვის ხეობაში ავა ოსურ სიმღერების გადასაღებად.

◆ სამუსიკო სასწავლებლის გადატანა. ქართული ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სკოლისათვის დაიქირავეს ახალი სადგომი საპიორნი ქუჩაზე (ჟღენტისა) წელიწადში 1500 მან. სამუსიკო სასწავლებელი მალე გადავა ახალ შენობაში.

◆ 25 ივნისს, ღამის 10 საათზე, ვერის ხიდზე მისულა ბარბალე ზარიძე, 25 წლისა, და განუზრახავს მტკვარში გადავარდნა. ეს შეუმჩნევია პოლიციელს, უტაცნია ხელი და ქალი გადაურჩენია. მიზეზი თავის მოკვლის განზრახვისა ყოფილა სრულიად ულუკმა-პუროდ დარჩენა.

◆ 25 ივნისს ღამე პოლიციის მე-5 ნაწილში დააპატიმრეს გრიგოლ შერანიანცი, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ დაბრუნებულა ისევ ტფილისში.

◆ ამავე დღეს მე-5 საპოლიციო ნაწილში დააპატიმრეს ყაზახის მაზრელი გუკას არუთინოვი, რომელსაც ბრალდება 24 ივნისს განჯის ნოტარიუსის მოსევიჩის სახლიდან 2000 მან. გატაცება. არუთინოვი გაჰგზავნეს განჯაში.

◆ დღეს, 27 ივნისს ვერის სახალხო აუდიტორიის სადგომში ქართული სცენის მოყვარენი წარმოადგენენ პიესას „ქრისტინეს.“

◆ პოლიციის ცნობით, 24 ივნისს საღამოთი ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში კურს დამთავრებული და სტუდენტების ფორმაში გამოწყობილნი ვლადიმერ ბრეგვაძე, თავ. ირაკლი მიქელაძე, ილია ჩოლოყაშვილი, კონსტანტინე კორძაია და ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, ძალზე მთვრალნი, მისულან მუშტაიდის ბაღში და იქ სულხანოვის ღონის გამოსაცდელ მანქანაზე თავიანთი ღონე გამოუცდიათ. ფულის დახურდავების შემდეგ ამ ყმაწვილები მოსვლიათ სულხანოვის 16 წლის ვაჟთან და საქმე ისე გამწვავებულა, რომ მუშტი-კრივიც გაუმართავთ. უწესოების ჩამდენნი პოლიციაში წაუყვანიათ და პასუხისგებაში მიუციათ.

პატარა ფელეტონი

ატენის ხეობა

(გავლით)

ამ რამდენიმე დღის წინად ტფილისიდან 8 კაცი გავემგზავრეთ ქართლისაკენ. ტფილისის სიცხეებისაგან დათუთქულებს, გვინდოდა გავსულიყავით სოფლად, გავგრილებულიყავით, წმინდა ჰაერი გვესუნთქა. ჯერ ისევ უთენებლივ, მივედით გორის სადგურზე და იქიდან გავსწიეთ ატენისაკენ.

პატარას გასცილდები თუ არა გორს, იწყება პატარა ხეობა—ძველადვე ატენის ხეობად წოდებული. აქ ჩამოდის მდინარე ტანა, რომელიც ზაფხულობით უსიცოცხლოდ ჟონავს თავის დიდ კალაპოტში, მაგრამ სულ სხვაა იგი წვიმების დროს. მთის ფერდობებიდან და თხემებიდან გადმოვარდნილ წყლებით ტანა სულს ითქვამს და დავაჟკაცებული, იგი საშინელის ყვირილითა და ღრიანცელით ეხეთქება აქეთ-იქით. თითქოს სურს შური იძიოს: როდესაც იგი პატარაა, გლეხები ერთმანეთს ეკინკლავებიან—არა მე მე მინდა ერთი მკლავის სიმსხო წყალი, არა მეო. ეხლა კი ტანა ყველას არიგებს, ყველას განზე სტოვებს და რაც გზაზე ჰხვდება, ანგრევს და ანადგურებს.

ამ წყალს ბევრი უბედურება და ბედნიერება მიუყენებია მცხოვრებთათვის. ამ ორი წლის წინად არ იყო, რომ დიდი ნიაღვრების დროს თავი მოიგიჟიანა და თითქმის მთელი ატენი და ხიდისთავის ბოლო წალეკა! მოგიჟიანება ტანას წინადაცა სჭირდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ატენის ხეობაში ორთქლ-მავალმა დაიყვირა, ის თითქოს შეურაცყოფილი დარჩა და თავის ქერქიდან იწყო გამოსვლა. ამ 20—25 წლის წინად ატენის ხეობაში ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა გაიყვანეს ზეზემანმა (გერმანელი) და ქართველიშვილმა. თავად ერისთავების უტეხი ტყე აიღეს იჯარით და იწყეს ტყის ზიდვა. ააგეს სახერხავი ქარხანა, შეესივნენ ტყეს და სულ მოატიტვლეს. არ გაუშვეს არც ფიჭვნარი, არც ნაძვნარი, არც რხილა-წიფელა და არც მუხა. სულ ერთიანად ძირს დასცეს საუკუნოებით ნაზარდი და ხელუხლებელი ტყე. ტყის გაჩეხით, რასაკვირველია, ტანამ იკლო, წყაროები დაშრა, მაგრამ, სამაგიეროდ, ნიაღვრების დროს, რაკი ტყე აღარ არის, უცბად წამოსქდება ხოლმე, ღელეები აივსება და მიდის განრისხებული დაჭრილ ნადირივით. ამ დროს სწორედ უბედურების მატარებელია ტანა.

მაგრამ, სამაგიეროდ, როგორც ზევითა ვთქვი, მას ბედნიერებაც მოაქვს ხალხისათვის. თუ არ ტანა, ატენის ხეობა ისეთი მშვენიერი და დამუშავებული არ იქნებოდა, როგორიც ეხლა. მრავალი არხია გაყვანილი ამ მდინარიდან. ყველა ის ვენახი სომლითაც ატენი თავს იწონებს, ტანას წყლით ირწყვის. წარმოიდგინეთ ღრმა ხეობა, აქეთ-იქით დიდი მთები, ძირს მდინარე ტანა. ტანას ნაპირებზე არის პატარა დაცემული ადგილები. ეს ადგილები ერთ ხშირ განუწყვეტელ ვენახის ჰალს წარმოადგენენ. ცოტა ზევითაც, ფერდობებზედაც ვენახებია შეფენილი გლეხებს მიწის სივიწროვისა გამო. უშენებიათ კედლები სიმაღლით ორ არშინამდე, დაუყრია მიწა და ზედ ვენახები გაუშენებიათ. კიდევ ზევიდ-კედელი, მიწა და ვენახი. ასე კიბე-კიბე ადის მაღლა, სანამ წყალი სწვდება და ან კლდიანი არ არის ნიადაგი. გასაოცარი მხნეობა გამოუჩენია გლეხს. ძალიან ცოტა მიწა ჰქონია, მაგრამ ვენახი და ბაღი ისეთი გაუშენებია, რომ მთელს ოჯახსა ჰკვებავს. ატენში ვერცკი ნახავთ ყანას—ცარიელ ადგილზე, თუ დასამუშავებლად გამოსადეგია, ატენელი ვენახს ან ხეხილის ბაღს აშენებს. პური არცკი მოჰყავთ, წლის განმავლობაში სულ ყიდულობენ მაგრამ ვენახი და ხილი (ატამი) ისეთ შემოსავალს იძლევა, რომ ყველა იმის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ყველა ამის გამო მიწის საოცარი სიძვირეა აქეთ. დასამუშავებლად გამოსადეგი დესეტინა მიწის ფასი ასს-ასსორმოც თუმნამდე ადის.

დღემდე ატენის ხეობაში სკოლა არ არსებობდა. ან-კი როგორი სკოლა უნდა დარსებულიყო—ვოსტროგოვის ტიპის სამრევლო სკოლა თუ სამინისტროს ერთკლასიანი სკოლა მუნჯურის მეთოდით? არც ერთი და არც მეორე სიკეთეს არ მოიტანდა. აქ, ამ მეურნეობის ხეობაში უთუოდ სამეურნეო სკოლა უნდა დარსებულიყო. ვენახი და ხილი აცხოვრებს სოფელს აქ. მაშ ისეთი სკოლა უნდა დარსებულიყო, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთ პირდაპირ დაეხმარებოდა ლუკმა პურის მოპოებისთვის ბრძოლაში. ასე შეხედა საქმეს ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ და განიზრახა კიდეც სამეურნეო სკოლის დაარსება. მამული და შენობა ერისთავისა, ბანკში დაგირავებული, საზოგადოებამ გადაიტანა თავის სახელზე. შენობაში მთაწყო სკოლა, მასწავლებლად სპეციალისტი მეურნე დანიშნა. ბაღი და ტყე, ზომით 28 დესეტინა სკოლას გადაეცა. ჯერ-ჯერობით ამ სკოლაში პრაქტიკანტები სწავლობენ, ადგილობრივი გლეხები. წელს ოცამდე კაცი იყო, მაგრამ მალე მათი რიცხვი იმატებს, რადგან გლეხები, როგორც ლაპარაკიდან დავრწმუნდით, კარგად უყურებენ სკოლასა და მასწავლებელს და სიკეთეს მოელიან. საქმე პრაქტიკულად არის დაყენებული. ასწავლიან მევენახეობასა და ხილის მოვლა-მოშენებას.

მთელ ატენის ხეობაში ფილოქსერას მოუკიდნია ფეხი. თუ გლეხებმა დროით არ უშველეს და ამერიკული ვაზი არ შემოიღეს, სულ წმინდად დაილუპებიან, მარჩენელი ვენახი ხელიდან წაუვათ. აი ამ საქმეში გაუწევს დიდ სამსახურს სკოლა. ეხლა უკვე აქვს ამ სკოლას ვაზის სანერგე. ამერიკილ ვაზზე უმყნიათ ადგილობრივი და საზღვარ-გარეთელი ჯიშები. ერთის სიტყვით, სკოლა თუ კარგად მოეწყო (ამისი იმედი-კი გვაქვს, რადგან სათავეში სდგას საქმის მოყვარე და მცოდნე კაცი ბ-ნი გ. ნახუცრიშვილი) ხალხს დიდს სამსახურს გაუწევს. საჭიროა მხოლოდ თვით დამაარსებელმა საქველმოქმედო საზოგადოებამ საქმეს ბოლო მიადევნოს და საარსებო თანხა არ მოუსპოს. ვინ იცის, საქველმოქმედო საზოგადოებამ იქნებ შემთხვევითაც დაარსა სკოლა, მაგრამ რაკი კარგს საქმეს წააწყდა, ბოლომდე, უნდა გაჰყვეს.

საბრალო სანახაობას წარმოადგენს რკინის გზის ლიანდაგი. მდინარე ტანას მოუგლეჯია ადგილ-ადგილ რელსები, დაუქცევია ხიდები, რიყესთან გაუსწორებია გზა. რკინის გზამ შეასრულა თავისი „მისია“. ტყე მოსპო, გამოზიდა სულ ერთიანად და ეხლა თითონ ტანას მსხვერპლი გახდა. ვის მოუტანა სარგებლობა ამ ლიანდაგმა? მემამულეს, რომელმაც ტყე გადასცა ზეზემანებს? მემამულე ისე გალატაკდა, რომ ატენელ ერისთავების ერთად-ერთ დარჩენილ წარმომადგენელს საბანიც კი აღარ აქვს, რომ დაიხუროს. ზეზემანს? მაგრამ ამბობენ, ამასაც ვერ წაუვიდა საქმე კარგადაო. ამასაც დიდი ვალი დასდებია და ეხლა კიდეც აპირებს თურმე შეძენილ მამულის გაყიდვას. შეიძლება გლეხებმა ცოტაოდენი სარგებელიც ნახეს—მუშაობდნენ ხოლმე სახელოსნოეში და ტყის გაჩეხაზე. სხვა სარგებლობა არა ყოფილა. ზარალი კი დიდია: ტყე გაიჩეხა, წყალ დიდობა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა და რადგან დამუშავებული ვენახები მდინარის ნაპირებსა და ფერდოებზეა, წყალი დიდ ზარალს აყენებს მათ. რასაკვირველია, აქედან იმისი გამოყვანა არ შეიძლება, რომ რკინის გზა საზოგადოდ მაზარალებელია. თუ ამ რკინის გზამ სარგებლობა არ მოიტანა, მხოლოდ იმიტომ, რომ ხე-ტყის წარმოება წესიერ ნიადაგზე არ იყო დაყენებული: მიჰყვეს ხელი და პირაღებით სჩეხეს ტყე, ეხლა აღარც ტყეა და რკინის გზაც მეტია.

ატენის თავში დიდი ტაძარია. როგორც მცოდნენი ამბობენ, ეს ტაძარი, სახელად სიონი, მეცხრე საუკუნეშია აგებული. დიდი უზარ-მაზარი შენობაა, [illegible] ლი და ჩუქურთმით მორთული. დღეს ძვირფასი [illegible] წირვა-ლოცვა აღარ არის შიგ. საეკლესიო გალობა ხომ არ გაისმის, სამაგიეროდ ღამურებს კარგი თავშესაფარი უშოვნიათ. მაღლა გუმბათს შეჰკედლებიან და მესაზარის წრიპინით ყურებს უჭედენ მნახველს. ხან და ხან საქონელიც კი მოიჩრდილებს ხოლმე ეკლესიაში. სიონის კედლები და საზოგადოდ თითქმის მთელი ტაძარი მშვენივრმდაა დაცული. კარებებიცა აქვს და ნუ თუ ადგილობრივ სულიერ მამას არ შეეძლო ეთავა, რომ ეკლესია სუფთად მაინც ყოფილიყო დაცული. აუარებელი მნახველი მიდის და, სწორე გითხრათ, ისეთი სუნია უწმინდურებისაგან, რომ თუ თავს ძალა არ დაატანე, შიგ ვერ გაჩერდები. ამ 50 წლის წინად მხატვრობაც კარგად ყოფილა დაცული, მაგრამ ეხლა ესეც აღარ არის. ვინც კი მისულა თავის მოვალეობად ჩაუთვლია სახელი და გვარი დაეწერა კედელზე დიდის ასოებით. ისეა დაკაწრული მხატვრობა, რომ შეგეზარება...

მოგზაური.

მოწერილი ამბები

თელავი. არა ერთხელ თქმულა და დაწერილა ეგრედ წოდებულ სამარხ-საქორწილო-სათრსულო კასებზე. მე ამ წერილში მსურს გაკვრით შევეხო თელავის სამარხ კასას, რომლის დამაარსებლად ითვლება ი. ზარაფიშვილი. არას ვიტყვი დანარჩენ კასებზე, რადგან მათი საქმენი საგმირონი თელავის საზოგადოებას კიდევ ღრმად აქვს დახსომებული და ძნელადაც ამოიფხვრება. ამ კასების „დვაწლი!“ სანამ ი. ზარაფიშვილის ხელში იყო სამარხი კასა, საქმე კარგად მიდიოდა. დამაარსებლის თაოსნობით შეიძინეს მომგებიანი ქაღალდები (რა ბედი ეწვია ამ ქაღალდებს, დღეს არავინ იცის). წინად ითვლებოდა 500 წევრამდის. ეხლა კი წევრების რიცხვმა საშინლად დაიკლა. თუ წინად გამოჰქონდათ 500 მანეთი, დღეს იმის ნახევარიც ძლივს გამოაქვთ. ერთის სიტყვით, რაც დრო გადის, მით წევრები უფრო აკლდება და მალე დადგება ის დრო (და კიდევაც დამდგარა), რომ თითო წევრი იმდენს ვერც-კი გამოიტანს, რაც შეუტანია. არას ვიტყვი დაუდევრობაზე და სხვაზე, რად-

---

„დიდების დღე“ დგება ხოლმე, მაგრამ რომელიც ხალხში მუდამ გაისმის, რომელსაც მუდამ ისმენს იდუმალად იმედ-გაღვიძებული ქართველის ყური. მე ქართველობა მაშინ მრწამს, როდესაც ყველა ჰფიქრობს, ჰგრძნობს, ეტრფის იმ აზრს, რომ ის ქართველია და კიდეც დარჩება ქართველად, თუ გინდ „ასი ერთზე მოვიდეს“, კიდევ შეჰქმნის თავის საქართველოს შავი ზღვიდან კავკასიონის ქედამდე, დაღესტნამდე, კიდევ დაუყენებს მტერს შურიან თვალებს, კიდევ ააყვავებს ეროვნულ, ორიგინალურ კულტურას! აი, ასეთი ქართველი ერი მიმაჩნია მე ქართველად, ასეთი ქართული სული და გული ქართულად, ასეთი იდეალი და სულისკვეთება, ასეთი სიმტკიცე ხასიათისა,—თორემ წელში გაწყვეტილი საცოდავი გლეხი, რომელსაც თავის მამა-პაპეულ ადგილიდან აგდებენ, და ის კი ჩუმად იკლავს შეურაცხყოფილ გრძნობას, ფიქრადაც არ მოსდის მომავალი საქართველო, სადაც უცხო ხელი მას ვეღარ შეეხება, ქვეყანაზე ყველგან დევნილი მუშა, რომელსაც აზრიც კი მოუწამლეს და დაბადებამდის მოუკლეს ეროვნული იდეა, დეგენერანტი თავადი, რომელიც მთელ მაზრას გაჰყიდის ქაღალდის სათამაშოდ და გადაგვარებული, უენო, ინტელიგენტი, ჩინოვნიკი ან მარქსისტი, რომელთაგანაც ერთს კანცელარიის ფილოსოფიით აქვს გამოლაყებული ტვინი და დაშინებული აზრი, მეორეს—ბროშიურებითა და „ერთად-ერთ ჭეშმარიტ“ პარტიითა,—რა ქართველია, რა ქართველობა შეუძლიან!

არც სტამბოლში ქართულად მოლაპარაკე ქართველებს აღუძრავთ ჩემთვის ეს გრძნობანი. იქ ნახულმა მოვლენამ მე რაც გრძნობა აღმიძრა, ეს ყველამ იცის, და მართლაც უბედურია ის ადამიანი, სულიერი დეგენერანტი, ვისაც საშინელი გრძნობანი არ აღეძრებიან მათ ნახვაზე. მას არ შეუძლიან გრძნობა არც წარსულისა, არც აწმყოსი და არც მომავლისა. მართალიც არის,—ფაქტია, რომ დამნაშავეებსა და დეგენერანტებს საშინლად აქვთ დახლუნგებული გრძნობანი! ეს ყველა ფსიხიატრმა იცის!..

მაგრამ სტამბოლს ვინღა დაეძებს,—ჩვენი ძველი საქართველო გვიძევს თვალ-წინ ისეთ მდგომარეობაში, რომ შველა და აღდგენა უნდა. იგი აღარც ოსმალოა, აღარც ქართველი. ორთა-შუაა გამოწყვეტილი. არც ერთი ერის სულიერ შემოქმედებაში არ იღებს მონაწილეობას. კულტურულ შემოქმედებით ვარჯიშობას მოკლებული,—ქვეყანა გაველურდა. დიახ, მათი დაბრუნება არის საჭირო. მეპრესსეს კი ჰგონია ომს ვუცხადებ ოსმალეთსა და შეიძლება კიდევ სხვასაც, რადგანაც ჩვენი ძველი ტერრიტორიის უმეტესი ნაწილი ოსმალეთის აქეთა საზღვრებშია. ეჰ! რა გაეწყობა. წაკითხულის გაგების ნიჭი რომ აქვთ მოკლებული ამ „ერთად-ერთი ჭეშმარიტების“ მლაღადებელთ, ამას მგონი თვითონაც ჰგრძნობენ ხოლმე, მაგრამ ის კი რათა ჰგონიათ, რომ მეც მათსავით ომი მელანდება,—ეს კი არ ვიცი. განა მართლა ყველა ქართველი—მარქსისტია, რომ ზარბაზნებისა და ჯავშნისმტყორცნელთა წინააღმდეგ ხელჯოხიანი „ხალხი“ და „პროლეტარიატი“ წაიყვანოს?.. ასეთი „გალაშქრება“ მათთვის დამილოცნია, მე ცოდვილს კი ფიქრადაც არ მომსვლია ეს არა-საკადრისი საქმე—ომი. ისიც ორ სახელმწიფოსთან. შეიძლება მესამე სახელმწიფოსთანაც დაგვჭირდეს,—სპარსეთთან, რადგან ფერეიდანელი ქართველები იქა გვყვანან და მათ „დაბრუნებაზედაც“ ხშირად ვლაპარაკობთ ხოლმე. მაშასადამე თუ მოვინდომეთ სამუსულმანო საქართველოს „დაბრუნება“, აგრეთვე გადასახლებულთა „დაბრუნება“,—ეს ჩვენი კულტურის სფერაში მათ ხელ-ახლა შემოყვანას კი არ ნიშნავს, არამედ ომს სამს სახელმწიფოსთან! არა, თითქოს ტვინი ჰკუით უდუღდეთ და გადმოუდიოდესთ ამ ვაჟბატონებს, რომ კიდევ თავს არ ისულელებდნენ! დაწყნარდით, ბატონებო, მაინც და მაინც დიდი ჭკუის პატრონებად არავის მიაჩნიხართ, რომ უარესად არ გაიტაკიმასხარაოთ თქვენივე თავები!

მეორეს მხრით, ნამდვილი ომი, არა „ხელ-ჯოხიანებისა“, დასაცინია მართლაც ისე, როგორც ამ „მშვიდობის მოყვარე“ ხალხსა ჰგონია?—ერთს განთავისუფლებულ ერს ვერ შეხვდებით, რომ „ომით“ არეხსნასთავისი ეროვნება. იგივე იტალია სერბია, ბოლგარია, საბერძნეთი, რუმინია და სხვანი,—რითი განთავისუფლდნენ თუ არა ომით? თანამედროვე მოძრაობის დროს, რისი იმედი აქვთ არაბებს, სომხებს და სხვათა ოსმალეთში, სხვებს კიდევ სხვა სახელმწიფოებში, თუ არ თავიანთ თავისა? მართალია „მომენტი“ ბევრს ნიშნავს ასეთ „ომთა“ ისტორიაში, მაგრამ თანამედროვე გართულებულ პოლიტიკურ ცხოვრებისმიმდინარეობაში ასეთი მომენტი ბევრია. მხოლოდ შინაგანი მომზადებაა საჭირო, გარედ კი ამ მომენტის ხილვის და დაფასების ნიჭი, რომ „ომი“ სასურველად დამთავრდეს. ჩვენში კი შინაგანი მომზადება ზღაპარია, პოლიტიკურ ცხოვრებისა კი ისე არა ვიცით რა, როგორც ჩვენმა მარქსისტებმა ჩინურ ფილოსოფიისა.

ყოველივე ეს სტამბოლში კი არ გაგვიგია, აქ გავიგეთ. შეუძლებელია ზეზეურად მაინც გადაავლო ჩვენ ცხოვრებას თვალი და ეს საშინელებანი არ იხილო. მაშინ გიდგება ნათლად თვალის წინ ქართველს საქართველოს მთელი პრობლემა, მთელი თავისი სართულით და სიდიდითა. რა უნდა ჰქნა, რომ შეინახო შენი ინდივიდუალობა? რა არის ამისთვის საჭირო?—უპირველეს ყოვლისა ორი ელემენტის შენახვა, რომელიც აუცილებელია საზოგადოების არსებობისთვის: შენახვა ტერრიტორიისა და ხალხისა, რომელსაც თავის მიწა-წყალზე ლამის არის არა თუ საზრდო, ფეხის დასადგმელი ნიადაგიც კი გამოეცალოს. როდესაც განიხილავ ხოლმე ადამიანი იმ ძალებს, რომელსაც შეუძლია ამ ორი პირობის შენახვა—ჰხედავ, რომ არც ერთს კლასს ჩვენში ამისათვის ძალები არ მოეპოვება. შემდეგ გაჩნდება თუ არა ეს ძალები, ვინ იცის, ზემოხსენებული პროცესსი კი ჩქარის ტემპით მიდის, და სანამ მისი შემჩერებელი ძალები გაჩნდებოდნენ, ეს პროცესსი კიდეც დამთავრდება ჩვენდა სრულ საუბედუროდ. მტრულ სახელმწიფო პოლიტიკას, მოზღვავებულ სხვა ერებს, მდიდრებსა და ეროვნულ იდეით გამსჭვალულთ, ჩვენ ვერც წინააღმდეგობასა და ვერც კონკურენციას გავუწევთ.

ასეთნაირად უნდა განვიხილოთ ჩვენი სოციალურ ცხოვრების ყველა პრობლემა, განსაკუთრებით სამუსულმანო საქართველოს კულტურულიხელ-ახლა „დაპყრობა“, რადგანაც იქ არის საფუძველი საქართველოს ეროვნულ ერთობისა და სიძლიერისა, საუკეთესო გეოგრაფიულ ადგილზე, დანარჩენ ქვეყნებთან შეერთების საშვალება საქართველოისა.

უბედურება მხოლოდის არის, რომ როდესაც ამ რთულ საერთო პრობლემას დავანაწილებთ ხოლმე ცალკე პრობლემებად და ერთის გადაწყვეტის საშუალებას გამოვნახავთ ხოლმე თეორიულად; იმ წამსვე თვით ეს საშუალება ხდება ახალ პრობლემად და აგრეთვე მისი გადაწყვეტის საშუალებაც თავის მხრით ახალ პრობლემად. ბოლოს და ბოლოს აღარ იცის კაცმა, სად არის ის ცნობილი, უკვე არსებული, მარტივი საშუალება, რომლითაც დაიწყებ და ბოლომდის ყველა პრობლემას გადასწყვეტ, ერთობ საქართველოს პრობლემასა და ასე შეუდგები სისტემატიურ პრაქტიკულ მუშაობას. ასეა ყოველთვის, როცა ერს ძლიერ ცოტა აქვს სასიცოცხლო, სამუშაო ძალები. ჩვენში ხშირად ამბობენ ხოლმე, მაგალითად,—რომ ფული იყოს, ყოველისფერი გაკეთდებაო. მაგრამ თვით ფულის შოვნაც პრობლემა არ არის, რომლის გადაწყვეტასაც ვინ იცის რამდენი ძალა, დრო და ენერგია, რამდენი განსაკუთრებული პირობა უნდა ეხლანდელ ქართულ ცხოვრებაში? მარქსისტი გეტყვის,—მოიცა, მანჯურიიდან ჩამოვა კაპიტალები, ან—უკვე აღმოცენდა ახალი ძალები, ბურჟუაზიაო,—და სხვა ასეთ ლათაიებს,—მაგრამ ასეთის იმედით მტერმა დაიწყო რამე. რომელი საშუალებიდანაც არ უნდა დავიწყოთ ამ პრობლემათა გადაწყვეტა,—ყოველთვის ასეთი რამ გვემართება. ამიტომაც არა აქვს ჩვენს „მუშაობას“ არავითარი ნაყოფი, ამიტომაც ვერ „შევთანხმებულვართ“, ამიტომაცა ვართ „ზარმაცები“, ამიტომაცა ვართ ყოვლად უძლურნი აზროვნებაში და განსაკუთრებით იქ, სადაც უნდა გამოვიჩინოთ მცირეოდენი უნარი მაინც ჩვენი თავის პიროვნებად განმტკიცებისა, როცა მრავალი „მომენტი“ გამოგვეპქმება ხოლმე თვალის წინ მოულოდნელად. აქ ყველა ჩვენგანს არ გაუვლის ხოლმე მწარე და მწველი ფიქრი: „ზურგს უკან“ რომ არა გვაქვს რა?!.

მაშ რა ვქნათო? მკითხავს მკითხველი. მე მხოლოდ პრობლემა წარმომიდგენია და მისი გადაწყვეტის სიძნელე, ხოლო როგორი უნდა იყოს ჩვენი პრაქტიკული მუშაობა, ეს ჩემთვის ძნელი გადასაწყვეტი საკითხია. მე მას ვერ ვიდებ თავზე, სიტყვათა უბრალო რახუნი ულაგოდ, ნაყოფიერად არ მიმაჩნია. სხვა ალაგს არის, ყოველ შემთხვევაში, ამაზედ ლაპარაკი საჭირო. თანაც ყველამ თვითონ იფიქროს, თორემ უცხო ფრაზებით ერი არავის გაუბედნიერებია.

მხოლოდ ერთს კი ვიტყვი. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ჩვენი სულიერი განახლება, შექმნა ქართულ ეროვნულ თავმოყვარეობისა, არსების ძლიერი სურვილისა, საჭიროა ეროვნული იდეა, რომელმაც მტკიცედ უნდა შეაკავშიროს მთელი საქართველო. ამ ნიადაგზე უნდა აღმოცენდეს ნამდვილი ქართველი, თავის ორგინალურ, მთლიან ბუნებით. მხოლოდ ის იქნება შემომქმედი თავისუფალ და კულტურულ საქართველოსი.

ჩვენ ეს ელემენტარული რამაც-კი გვაკლია, და ამ იდეის გავრცელებასა და დანერგვას ხომ მაინც არ უნდა მილიონები.

B.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან მას ნათლად დავინახამთ რევიზიის შემდეგ. ერთი სიტყვით, გაჭირვებულ მდგომარეობაშია დღეს თელავის სამარხი კასა. გაკოტრების გზას ადგია. ვინ უნდა მიაქციოს ყურადღება ამ უბედურ მოვლენას? რასაკვირველია. თვით წევრებმა. საუბედუროდ, როგორც ეტყობა, წევრები არ არიან შორს გამჭვრეტელნი. საჭიროა ამ საქმეში ჩაერიოს თელავის შეგნებული ნაწილი, ინტელიგენცია. მან უნდა აუხსნას წევრებს ნამდვილი კასის მნიშვნელობა. კასსას უნდა მიექცეს ყურადღება რაც შეიძლება ჩქარა. ჩქარა მხოლოდ იმისთვის, რომ ხალხს ჯერ საგრძნობლად არ შეუტოპნია, მერე კი გვიან იქმნება. საჭიროა ეხლავე შესდგეს კომისია (როგორც ეს მოხდა ტფილისში) შეგნებულ ნაწილისაგან. იანგარიშონ შემოსავალ-გასავალი; თვით წევრებს დაუბრუნონ დარჩომილი ფული და თუ ჰპოვეს რაიმე სიყალბე ხელ-მძღვანელების მოქმედებაში, გადასცეს ისინი გამომძიებელს, (როგორც უყვეს ქ. ტფილისში ადამოვს, რაზმაძეს, ყიფიანს და სხვ.)- მხოლოდ შეგნებულ ნაწილს თელავის საზოგადოებისას შეუძლიან ნათლად ჰყოს ამ კასსის საქმენი **ანკეხი.**

სპარსეთის ამბები

რევოლიუციონერებმა ალყა შემოარტყეს თეირანს.

„ტიფლ. ლისტოკ"-ს ატყობინებენ კაზვინიდან: „რევოლიუციონერებმა ყველა მხრიდან ალყა შემოარტყეს თეირანს, შიგ-კი არ შესულან. თეირანში სუფევს სრული სიწყნარე. ბახტიარებისა და კაზვინელების ჯარის ნაწილი შაჰის რეზიდენციისკენ გაემართა.

სეპეხდარმა გამოუცხადა საელჩოებს: რევოლიუციონერებს ჰსურთ მთავრობის მთელი ძალა ჩაიგდონ ხელში, შაჰი აუცილებლად ჩამოაგდონ და მისი ხელმძღვანელები სამართალში მისცენ, უცხოელების ხელუხლებლობა უზრუნველყოფილი იქნებაო.

რევოლიუციონერებს სრული თანხმობა აქვთ. ყველანი შეიარაღებულნი არიან ინგლისურ თორმეტ სასროლიან თოფებით.

უკანასკნელ დღეებში რევოლიუციონერებს კიდევ მოემატა 1000 კაცი. ბრძოლაში დაჭრილთათვის მათ გამართეს დიდი საავადმყოფო, რომელშიაც მუშაობენ კაზვინელი ქალები.

სომეხი ეფრემი 250 რევოლიუციონერით უკვე ჩავიდა კერეჯში, სეპეხდართან.

„რუს. სლოვო"-ს კორესპონდენტი ძლიერ აქებს რევოლიუციონერების ჯარს: თავის დისციპლინით და იარაღით ნამდვილ გაწვრთნილ ჯარსა ჰგავსო.

მოლაპარაკება სეპეხდართან და სარდარ-ასადთან.

23 ივნისს კონსულებმა პასუხი ჩააბარეს სეპეხდარს: თქვენი პირობები რუსეთისა და ინგლისის მთავრობებს გავუგზავნეთ გასასინჯადაო. ასეთივე პასუხი სარდალ ასადსაც ჩააბარეს.

თეირანში ბაზრები დაკეტილია, ვაჭრობა მთლად მოისპო. თავზარდაცემული მცხოვრებნი ქალაქიდან გარბიან.

უცებ ავად გახდა გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი საად-დოულე. ამბობენ, მოუწამლავთო.

სპარსელ დეპუტატების მოწოდება.

ვენურ გაზეთ „ნ. ფრ. პრესს"-ში დაბეჭდილია სპარსელ დეპუტატების მოწოდება ავსტრიელ დეპუტატების და სენატორებისადმი. სპარსელები დახმარებას სთხოვენ ავსტრიის პარლამენტის წევრებს.

რუსულ შავ-რაზმულ გაზეთის აზრი რუსეთის პოლიტიკაზე.

რუსული შავ-რაზმულ გაზ. „რუსკოე ზნამია"-ც კი ჰკიცხავს რუსეთის მოქმედებას სპარსეთში. გაზეთი სწერს:

„რუსის ჯარმა უკმაყოფილება გამოიწვია მთელს სპარსეთში. უკმაყოფილონი არიან თითონ შაჰი და მისი მომხრეები იმისთვის, რომ რუსის ჯარმა მათ არ დაიცადა რევოლუციის გასრესა. უკმაყოფილონი არიან რევოლიუციონერებიც, რადგან მათის აზრით, რუსეთმა ხელი შეუშალა რევოლიუციის გამარჯვებას. რუსეთის სრულებით ვერაფერს მოიგებს სპარსეთში, ვაჭრობასაც-კი ვერ აღადგენს, მხოლოდ გადიკიდებს ოსმალეთს, რომელიც ხელს უწყობს და აძლიერებს რევოლიუციონურ მოძრაობას სპარსეთში".

კრიტოსის საქმე

ბერძნების დეპუტაცია პეტერბურგში.

პეტერბურგში მივიდა ბერძნების დეპუტაცია, რომელიც კრიტოსის საქმეზე მოლაპარაკებას აპირებს რუსეთის მთავრობასთან.

ამ დეპუტაციის ერთ-ერთ წევრს, დიპლომატ კაზიჩს უთქვამს „რან. უტრო"-ს კორესპონდენტისთვის:

„მფარველი სახელმწიფოები მალე გაიყვანენ თავიანთ ჯარს კრიტოსიდან. ურთიერთობა ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ძლიერ გამწვავებულია. მართალია საბერძნეთი ყოველნაირად ცდილობს, რომ კრიტოსის საქმე მშვიდობიანად უიარაღოდ გადასწყდეს, მაგრამ რა ნაყოფს გამოიღებს მისი მეცადინეობა,—ეს ჯერ ძნელი გამოსაცნობია. კრიტოსის საკითხს მრავალი მხარე აქვს. ამ საქმეში პირდაპირ დაინტერესებულნი არიან საბერძნეთი, ოსმალეთი და თითონ კუნძული კრიტოსიც. მას აქეთ რაც ავსტრიამ ბოსნია-ჰერცოგოვინა შეიერთა და ბოლგარიამ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა,—საბერძნეთი ცდილობს კრიტოსის შეერთებას. კრიტოსელების უმთავრესი ნაწილი მხარს უჭერს საბერძნეთის მეცადინეობას, მაგრამ კუნძულების ერთი ჯგუფი წინააღმდეგია საბერძნეთის ქვეშევრდომობისა. ამ ჯგუფს ჰსურს კრიტოსზე დამოუკიდებელი პოლიტიკური სახელმწიფო დაარსოს. ამ განზრახვის ახირებულება აშკარაა თვით ამ ჯგუფის მეთაურებისთვის, მაგრამ ისინი მაინც აღელვებენ და ასაჯანყებლად აქეზებენ კრიტოსის ხალხს. ამას გარდა კრიტოსის ამა თუ იმ მდგომარეობა დიდ მნიშვნელობა აქვს იტალიისა, საფრანგეთისა, გერმანიისა და ინგლისისთვის, რადგანმათ დიდი ინტერესები აქვთ ხმელთა შუა ზღვაში. აქედან ცხადია, რომ ამ საქმის გადაწყვეტა ძლიერ ძნელია და იქნება რუსეთიც ჩაერიოს ამ საქმეში.

— რანაირად უნდა ჩაერიოს რუსეთი?

— ძნელია მაგ კითხვაზე სწორე პასუხის მიცემა. ჩვენ წინდაწინვე უნდა გამოვარკვიოთ, თუ როგორ მოიქცევა რუსეთი, როდესაც კუნძული კრიტოსი ისევ ოსმალეთის იმპერიის პროტექტორატის ქვეშ დარჩება. ამ შემთხვევაში უეჭველია, რომ დიდი ზარალი მოუვა როგორც საბერძნეთის ეკონომიურ მდგომარეობას, ისე მის ეროვნულ ინტერესებს. ჩვენი დეპუტაცია ბეჯითად მოაგონებს რუსეთის მთავრობას, რომ საბერძნეთის ეროვნული ინტერესები არც რუსეთისთვის უნდა იყოს უცხო. რუსეთს არა აქვს პირდაპირი ინტერესები ხმელთაშუაზღვაში, ამიტომ მას ჯერ არ გამოუთქვამს თავისი აზრი ამ საქმეზე. იმედი გვაქვს, რომ იგი ეხლა, გაჭირვების წამს, ამოიღებს ხმას...

ბერძენთა დიპლომატები დარწმუნებულნი არიან, რომ ოსმალეთ-საბერძნეთის დავა მშვიდობიანად გადასწყდებაო.

უცხოეთი

იაპონიის გავლენა ჩინეთზე.

ამ ჟამად ჩინეთის სატახტო ქალაქში ყველაზე მეტი გავლენა მოიპოვეს გერმანიამ და იაპონიამ. ზოგ დიპლომატს შესაძლებლად მიაჩნია იაპონია-ჩინეთის კავშირი. სამაგიეროდ რუსეთის დიპლომატია ცდილობს ჩინეთის, ამერიკისა და რუსეთის ერთმანეთთან დაახლოვებას.

იაპონიის გავლენის შესახებ ხელთა გვაქვს შემდეგი უტყუარი ფაქტები. ამ ჟამად იაპონელებმა ხელში ჩაიგდეს ჩინეთის სკოლები; ბევრს სკოლის შენობაზე ფრიალებს იაპონური ბაირაღი. ჩინეთის ახალ ჯარში ყველგან იაპონელი ინსტრუქტორები არიან; დიდძალი ჩინელი ახალგაზრდობა სასწავლებლად მიდის ტოკიოს უნივერსიტეტში; პეკინის უნივერსიტეტში პროფესორებად თითქმის სულ იაპონელები არიან; ერთ დროს რუსულ ენის პროფესორადაც-კი იაპონელი იყო. ტელეგრაფისტებად თითქმის ყველგან აგრეთვე იაპონელები არიან. საპასუხისმგებლო ადგილები ადმინისტრაციასა და ბანკებშიაც სულ იაპონელების ხელშია. სამხრეთ მანჯურიაში ხომ ნამდვილი ბატონები არიან იაპონელები.

გენ. კუროკი სამსახურიდან გადამდგარა.

რუსეთ იაპონიის ომის განთქმული გმირი, იაპონიის პირველ არმიის უფროსი გენ. კუროკი სამსახურიდან გადადგა, რადგან იგი შესრულდა 65 წლისა და იაპონიის სამხედრო კანონის ძალით, სამსახურში დარჩენის უფლება აღარა ჰქონდა. იაპონიის იმპერატორმა უმაღლეს ჯილდოთი დაასაჩუქრა გენერალი. იგი ამას იქით იცხოვრებს თავის სახლში და შეუდგება წარსულ ომის აღწერას.

კუროკის ამხანაგები მესამე არმიის უფროსი გენ. ნოძუ და მთავარ-შტაბის უფროსი გენ. კოდამა უკვე გადაიცვალნენ. გენ. ნოგიც სამსახურიდან გადადგა, ხოლო მეორე არმიის უფროსად ნამყოფი გენ. ოკუ მთავარ-შტაბის უფროსადაა.

ახალი სამხედრო პორტი ჩინეთში.

ჩინეთის მთავრობა რამდენისამე ხნის წინად შეეკითხა ინგლისის მთავრობას, რა ფასად დაგვიბრუნებთ ვეიხაივეის ნავთ-სადგურს, რომელიც ჩვენ გვინდა გადავაკეთოთ სამხედრო პორტად ჩინეთის ახალ ფლოტისთვისო. ინგლისმა 20 მილიონი გირვ. სტერლინგი მოითხოვა, ხოლო ჩინეთის მთავრობას არ შეეძლო ამდენი ფულის გადახდა; ამიტომ მან გადასწყვიტა, სამხედრო პორტი დაარსოს სანმუნის ნავთ-სადგურში, ცეციანის ოლქში, რაზედაც მხოლოდ 4 მილიონი გირვანქა დაეხარჯება.

რუსეთი

◆ **ახალი ჰაეროპლანი.** „რანნე უტრო" სიტყვით ვინმე ხ—ს გამოუგონია ახალი ჰაეროპლანი. ჰაეროპლანს მოტორი არ აქვს და მოძრაობაში ხელებით და ფეხებით უნდა მოიყვანონ. ხ—ს პეტერბურგის გრადონაჩალნიკისთვის უთხოვნია, ნება მომეცით რომ ჩემი ჰაეროპლანი ქალაქში აუშვაო.

◆ **გუბერნატორის განკარგულება.** მოსკოვის გუბერნატორს დჟუნკოვსკის შემდეგი ბრძანება გამოუცია: „ურიადნიკი პოკოტნევი პოდოლის მაზრის ერთ სოფელში გაგზავნეს. მას უნდა დაეპატიმრებია ვინმე საველიევი, საველიევი პოკოტნევს გაექცა. პოკოტნევმა ჰაერში დაიწყო სროლა და თან გარბოდა. ურიადნიკი მიწაზე დაეცა, მაგრამ მაინც ისროდა და შემთხვევით დასჭრა საველიევი. როგორც სჩანს პოკოტნევს არ სცოდნია წესები, თუ როგორ უნდა მოიხმაროს იარაღი. იარაღი თავის დღეში არ უნდა იხმაროთ მარტო შესაშინებლად. მართალია იარაღს უკიდურეს შემთხვევაში უნდა მიმართოთ, მაგრამ შესაშინებლად კი არა! ე. ი. ჩვენებურად, რომ ვთქვათ ურიადნიკი იმაშია დამნაშავე, რომ საველიევს პირდაპირ თავში არა სდრუზა ტყვია და ამის მაგივრად ჰაერში ისროდა!!!

◆ **გერცენშტეინის მკვლელობა.** „რუს. სლ." დაიბეჭდა მოგონებანი „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრად ნამყოფის ვინმე კომისაროვისა. კომისაროვის მოგონებაში ახალი არაფერია, მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ადგილს: „19 ივლისს შევედი „კავშირის" სადგომში. შესვლისთანავე აქეთ-იქიდან მომაძახეს: „გაიგეთ, რამიშვილი მოუკლავთ". ამ დროს შემოვიდა პოლოვნევი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, აღელვებული იყო. მე მივმართე:

— მართალია, ალექსანდრ ვასილიევიჩ, ამბობენ, რომ რამიშვილი მოჰკლესო?

— თუ გერცენშტეინი? მომიგო მან და დუბროვინის ოთახისკენ გაემგზავრა. რაზმელებმა ზორინმა და ლავროვმა ლარიჩკინისგან გაიგეს გერცენშტეინის მკვლელობის შესახებ დაწვრილებითი ამბავი და შემდეგ ყველაფერი ეს ფინლიანდიის სასამართლოს გადასცეს? მე ერთხელ შემთხვევით შევედი [illegible] ოთახში და შემდეგ სიტყვებს მოვკარ ყური. ლაპარაკობდა ალექსანდროვი.—სტყუი! მართალია გამზეი გამზეიჩმა ესროლა გერცენშტეინს, მაგრამ ვერაფერს გახდა და „ჟიდს" ბოლო მოუღო ლარიჩკინმა!.. როდესაც გრადონაჩალნიკად გენერალი დრაჩევსკი დაინიშნა, „კავშირის" წევრები შეშინდნენ და ერთი კვირის შემდეგ პეტერბურგიდან გაიქცნენ ლარიჩკინი, იუსკევიჩ-კრასოვსკი, პოლოვნევი, ბელიაევი, რუდნიკი და მთელი ის კომპანია, რომელმაც გერცენშტეინის მკვლელობა მოაწყო. იმის შემდევ დუბროვინთან ყოველდღე დაიარებოდნენ პოლოვნევის და რუდნიკის ცოლები და ფულს სთხოვდნენ. პირველ ხანებში მათ კარგა ბლომა ფულებს აძლევდნენ. შემდეგ კი უკლეს, რამაც პოლოვნევის და რუდნიკის ცოლები გააბრაზა და დუბროვინს პირში ლანძღავდნენ, ჩვენი ქმრები დაღუპე და ფულს აღარ გვაძლევო.

◆ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ტამბოვში 3, პეტერბურგში 1, სამარაში 2, სარატოვში 2, უფაში 1, ვარშავაში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ხარკოვში 2, ოდესაში 1, რიგაში 2, რეველში 1, პეტერბურგში 2 კაცი.

◆ **ახალი კანონ-პროექტი.** „კასპის" სიტყვით საერო განათლების მინისტრი იმუშავებს ახალ კანონ-პროექტს. ამ კანონ-პროექტით იმ ქალებისთვის, რომლებიც მაღალ სასწავლებელს ათავებენ, შემოღებული იქმნება განსაკუთრებული სახელმწიფო ეგზამენები. ვინც ეგზამენებს ჩააბარებს, მას ექნება ექიმ-ქალის, ქალთა გიმნაზიების ყველა კლასის და ვაჟთა გიმნაზიების პირველ ოთხ კლასის მასწავლებლის უფლებები.

◆ **გზათა მინისტრის ბრძანება.** რუსეთის გაზეთების სიტყვით გზათა მინისტრს ყველა გზებზე ბრძანება დაუგზავნია, ზაფხულში კონტროლიორებად სტუდენტები ამუშავეთო.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგს: ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველნი ისე უგულოდ ეკიდებიან ბანკის საქმეებს, რომ კალმით აუწერელია. ჯერ იყო და მათმა უგულო მუშაობამ, კოტას გასწყდა, ბანკი განსაცდელში არ ჩააგდო და დაღუპვის გზაზე არ დააყენა. კიდევ კარგი, რომ სული არ დალია, კრებამ უსწრო და შესაფერი ზომები მიიღეს საქმის გამოსაბრუნებლად. მაგრამ დაუდევრობას მაინც ბოლო არ ედება: აგერა ივნისიც გავიდა და როგორც მსესხებელს, მე ჯერ არავითარი უწყება არა მაქვს მიღებული და არ ვიცი რამდენია გადასახდელი ამ წლის პირველ ნახევრისა, როდის არის უკანასკნელი ვადა და როდის უნდა მოხდეს ვაჭრობა მამულების გასასყიდად. ალბად სხვებიც ამ მდგომარეობაში არიან. ადგილობრივ გაზეთებს ყოველ დღე ვათვალიერებ, მაგრამ არავითარი განცხადება არ დაბეჭდილა საჯარო ვაჭრობის შესახებ.*) დალოცვილებო, ნეტა რასა ფიქრობენ, გულთ მისანი ხომ არ არის ხალხი, რომ თავის თავად გაიგოს, როდის არის უკანასკნელი ვადა და როდის მოხდება საჯარო ვაჭრობა?! თუმცა ყველა მსესხებელს სათითაოდ თითო თუმანს ახდევინებენ „პუბლიკაციისთვის" და ამ პუბლიკაციას კი ალბათ უცხოეთში თუ ახდენენ, რომ მათ იყიდონ საქართველოში მამულები. ქართველებს კი ისე უნდევენ გზა-კვალს, რომ არ იცის თავის დაღუპვის დღე როდის არის. მე მაგალითად, პროვინციაში ვცხოვრობ და როგორ წავიდე აქედან ქუთაისში, რომ ყველაფერი გავიგო გავიგო ჩემ მამულზე საჯარო ვაჭრობაა დანიშნული თუ არა. თუნდაც გავიგო პირადად ვისმესაგან—უკანასკნელ დღეებში, როგორ და რანაირად მოვახერხო უცბად იმ ფულის შოვნა, რაც შესატანია? მაშინ ყოველთვის ასე ხდება ხოლმე: მსესხებელი მიწურულ დღეებში შეიტყობს, რომ ეყიდება მამული, რის ვაი-ვაგლახით იქნება ნახევარი მოახერხოს და ნახევარიც ვალად დაიდოს, ასე რომ თავის სარგებელიც ვალად მიეკეცება, შემდეგ ვადაზე თავის სარგებელსა და სარგებლის სარგებელსაც ერთად მივლენ, რის გადახდაც ძრიელ გაუჭირდება მსესხებელს და ბანკს დაუნარჩუნებს მამულს. დარჩენილ მამულს ბანკი ვერას-გზით ვერ უვლის, რადგან მოხელენი არა ჰყავს გულის-დამწველნი და მოგების ნაცვლად, რაც უნდა კარგი მამული იყოს, ხშირად ზარალობს ხოლმე. ასე, რომ მმართველობის უთავბოლობით, პატრონსაც ხელიდან ეცლება მამული და თითონაც ვერ უვლიან ხეირიანად. ყველა ეს კი იმის ბრალია, რომ დროით არ აცნობებენ მსესხებელს, წერილით ან გაზეთის საშუალებით ფულის შეტანის ვადას და საჯარო ვაჭრობას.

მსესხებელი **ი. მჭედლიშვილი.**

---

*) ამ ბანკში უმეტესი ნაწილი ქართველების მამულია დაგირავებული და მაშ რატომ არ უნდა იყოს დაბეჭდილი მათი განცხადება ერთ-ერთ ქართულ გაზეთში?! სიტყვით, ქუთაისის ბანკის მმართველებს, ენაზე ქართული და ქართველი ხალხი აკერიათ, ხოლო როცა საქმეზე გადავა, ყველაფერს ივიწყებენ; მაშინ მხოლოდ თავიანთ კუჭი-ღა აგონდებათ და მეტი არაფერი. ალბათ, ესეც მათებური „ეკონომიაა"! აფერუმ ქართველებო!!!

ასოთ-ამწყობი **ილ. რუს.**

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
[illegible]
დილით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდ
უ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. პეტრიხანცი: 11—12 ნახ. ს. კ
ნისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგა
ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შ
ნაგან და საბავშვო.
ა. მ. ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათ
საბებიო და ქალებისა.
საღამოთი:
ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. დ. მარცინევსკი: 6—7 ს. შინაგა
ნი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კო
ნსულტაციები და ოპერაციები მეთანხმ
ბით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიან
(წ.—1—11

სიკვდილი ბაღლინჯოებ
ახალი საშუალება „კლოპოვინი", რო
მელიც სპობს ბაღლინჯოებს და მ
კვერცხებს სულ ერთ წუთში, რი
თვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არ
ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალ
დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფ
სი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფა
დადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინ
ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილის
ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონ
ცოვის ძეგლთან. აფთიაქებს %.
(15—ან.—12

ბაღი-რესტორანი
ამხანაგობის
„იშუანე"-ში
სახაზლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საზაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. **ბაღში შესვლა უფასოდ.**
სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველგვარ სასმელს ბაღში არის ცალკე „კაბინეტები" და „პრეისკურანტები". ფასები ზომიერია.
ტელეფონი N 233. (50—ვაჟ.—17)

კანტორა და საწყობ
„სპერმატინისა"
და
„ალმეჟისა"
გადავიტანე ვორონცოვის ძეგლთ
ნეკრასოვის ქუჩაზე, № 14.
(30—ნ.—5) ი. ახობაძ

მომავალი 1910 წლის კედლის
კალენდარი „განთიადი"
ამ ცოტა ხანში დაიწყება ბეჭდვა და დეკემბრის პირველ რიცხვებში გამოვა გასასყიდათ
კალენდარი, როგორც ქვემო დაბეჭდილ ნიმუშიდან სჩანს, დიდი ზომისა იქნება და ეღირება თითო 40 კაპ.
წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 25% დაკლებით.
რომ დანამდვილებით ვიცოდეთ, თუ რამდენია საჭირო კალენდრის დაბეჭდვა, ამისთვის ვთხოვთ წიგნის მაღაზიებს და გამყიდველებს ამა წლის 20 ივლისამდე გვაცნობონ ყველამ, ვის რამდენი ცალი დასჭირდება. ამასთანავე უნდა წარმოადგინონ ბეღ რაოდენობის მიხედვით 25%, რათა ტყუილად არ დაგვირჩეს დაბეჭდილი.
ადრესი: ტფილისი, ვანქის დიდი ქ., N 12. სტამბა „სინათლე", კედლის კალენდარის „განთიადისთვის".

მკათათვე (31 დღე)—კვირიკობისთვე
მზე: ამოდის 4 საათ. 30 წთ. ჩადის 7 საათ. 40 წთ.
4
ახალი სტილით 18
მთვარე: საღამოს 10 ს. 5 წთ. სრულდება 11 დღისა.
186 დღე წლის თავიდან, რჩება 180 დღე წლის დამლევამდე
კვირა
მართლ-მად. წმ. მ. ჩვ. ანდრია კრიტელისა იერუსალიმელ მთავარ ეპისკოპოსისა. ღირ. მართასი დედისა წმ. სვიმონ საკვირველ-მოქმედისა.
კათოლიკეთა. მეშვიდე კვირა სახელის მაცხოვრისა იესო ქრისტესი.
გრიგორ. † ფერისცვალება უფლისა იესო ქრისტესი (ვარდავარი).
უახლოესი უქმე (გარდა კვირისა) პარასკევი, 6 აგვისტო.
● ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობა ●
ტფილისში, ქართულ გიმნაზიის შენობაში ყაზახებმა მოჰკლეს იმავე გიმნაზიის ინსპექტორი შიო ჩიტაძე 1096 წ.

შიო ჩიტაძე.
4 ივლისს, საღამოს 8 საათზე, შესრულდა ოთხი წელიწადი რაც ქართულ გიმნაზიის შენობაში ვერაგულად მოჰკლეს ამავე გიმნაზიის ინსპექტორი შიო ჩიტაძე. ამ დროს გიმნაზიაში სხვა მასწავლებლებთან ერთად კრება ჰქონდათ, რომ შენობის გარედ ვიღაცამ პოლიცმეისტერს მარტინოვს ყუმბარა ესროლა, რომელიც გიმნაზიის მახლობლად ცხოვრობდა. გიმნაზიას მაშინვე ალყა შემოარტყეს და თოფები დაუშინეს, რომლის დროსაც შიო ჩიტაძის სიკვდილს გარდა იქ მყოფი მასწავლებლებიც დასჭრეს.
შიო ჩიტაძე იყო ღარიბი დედ-მამის შვილი, მაგრამ მშობლებმა მაინც მოახერხეს და სწავლა მიაღებინეს. ის კარგა ხანს რუსეთში იყო მასწავლებლად, ხოლო 1904 წელს ტფილისში ჩამოვიდა და ქართულ გიმნაზიის ინსპექტორად დანიშნეს.
განსვენებული ერთი საუკეთესო მოღვაწე და მუშაკთაგანი იყო. ყოველ ქართულ საზოგადო საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. აგრეთვე მონაწილეობას იღებდა ქართულსა და რუსულს მწერლობაში და მუდმივი თანამშრომელი იყო «ცნობის ფურცლისა», «შრომასა» და «ვოზრაჟდენიესი».
მისმა სიკვდილმა ქართველი საზოგადოება მწარედ დააღონა და აღაშფოთა იმ საზიზღარ მკვლელობის წინააღმდეგ, რომელმაც ასე უწყალოდ და უდროვოდ გამოასალმეს წუთი-სოფელს ჯერ ისევ სიცოცხლით აღსავსე უანგარო მუშაკი და მებრძოლი ყოველ-გვარ უსამართლობისა. მას დარჩა ცოლი და ორი შვილი, მაგრამ ქმრის ამგვარი ვერაგული სიკვდილი ვერ აიტანა მისმა ცოლმა და არ გაუვლია ნახევარ წელიწადს, რომ ისიც სიცოცხლეს გამოესალმა.
დამაკვირდი
ძნელია რისიმე გლოვა, მაგრამ ყველაზე უძნელესი და იმავ დროს ყველაზე უხანგრძლივესი გლოვა—ბავშვობის დროის უმანკოების სამუდამოდ დაკარგვის გლოვაა.

სტამბა „სინათლე", დიდი ვანქის ქუჩა, №12.
რედაქტორ-გამომცემელი ც. ს. აბლაძე.